# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 მაისი, 2008 წელი.

№ 87 (5945)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ლაპარაკი საქმის ნაცვლად



**იმ დროს, როცა მიხეილ სააკაშვილი და მისი მუხლჩაუხრელი გუნდი, გია როინიშვილის თამადობით, ლაპარაკის ნაცვლად მუხლჩაუხრელად ირჯებიან, ჩვენი ევროპელი და ამერიკელი „მეგობრები“ საქმის ნაცვლად ცარიელი ლაპარაკით იხარჯებიან, თანაც ისე უთავგზოდ, რომ სჯობდა, საერთოდ არ ელაპარაკათ.**

5

## შალვა ნათელაშვილი: მანამდე არაფერი აუდგეს ბრაიზას...



3



## ლადო პაპავას აზრით, კონტროლის პალატის ქუთაისში გადატანა გაუთვალისწინებელ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული

## ბოდიში, ტარიფის გაძვირებით ერთხელ კიდევ შეგაწუხებთ!

7




## სინამდვილე

8

## დავით დარჩიაშვილი: აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ფორმატი შეიცვლება, ოღონდ, როდის და როგორ, ამას დრო გვიჩვენებს



4

## ნაპოლეონ ქარქაშაძე: მთავარი ის კი არ არის, რომელი პარტია გაიმარჯვებს, მთავარი ის არის, ხალხი არ დამარცხდეს...



6



## ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ სასამართლო პროცესს იგებს



4

## კონფლიქტის ზონა

შორიდან უკეთ მოჩანს: რომ არა სამაჩაბლოს გმირი მოსახლეობა, არავინ იცის, გავიგონებდით თუ არა კიდევ დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ქართულ ლაპარაკს. ამიტომაც ამ ხალხის მიმართ კიდევ და კიდევ მეტი ყურადღების მიქცევაა საჭირო ხელისუფლების მხრიდან.

ახლა აქაც, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა. ე.წ. „ჩაკეტილ ზონაში“ მცხოვრები მოსახლეობისათვის სულ ერთი როდია, თუ ვის დაუჭერს მხარს, რადგან იმდენი საჭირბოროტო პრობლემაა, ხალხის რჩეულს დიდი მონდომება და ძალისხმევა მართლაც სჭირდება მათ მოსაგვარებლად.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მაჟორიტარი დეპუტატობის ოთხი კანდიდატია. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე დარეგისტრირდნენ გაერთიანებული ოპოზიციიდან გოგიტა ოქროპირიძე და რესპუბლიკური პარტიიდან მარინა მეშვილდიშვილი, ლეიბორისტული პარტიიდან ზურაბ თენაძე, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი თავის კანდიდატად ადგილობრივი მკვიდრი ბადრი ბასიშვილი წარადგინა.

*მცირე დოსიე: დაიბადა 1977 წელს ქ.ცხინვალში. განათლება – უმაღლესი, პროფესია – იურისტი. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. ცხოვრობს სოფელ კეხვში.*

*მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური სასაზღვრო რაზმ „ლაგოდეხში“. 2003 წლიდან ხეობის ნაციონალური მოძრაობის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. 2004 წლის პარლამენტის არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობა – დემოკრატებს“ ედგა სათავეში, ხოლო 2004-2008 წლებში შიდა ქართლის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მრჩეველად მუშაობდა.*

*2004-2008 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში ხელმძღვანელობდა მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბს ლიახვის ხეობაში. 2006 წელს კი კენჭი იყარა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში და გახდა ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, რის შემდეგაც საკრებულოს წევრებმა აირჩიეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ. 2007 წლის 10 მაისს აირჩიეს ევროსაბჭოს თვითმმართველობის კონგრესის წევრად. არის რეგიონალური პოლიტიკის მართვის კომიტეტის წევრი.*



დეპუტატობის კანდიდატი მმართველი პარტიიდან

# ბადრი ბასიშვილი: უახლოეს ხანში ბევრ მტკივნეულ პრობლემას მოვაგვარებთ

ბატონი ბადრი მეუბნება: – მე კარგად მესმის, თუ რას ნიშნავს, იყო ხეობის გმირი მოსახლეობის წარმომადგენელი პარლამენტში. ეს რთული და საპატიო ტვირთია. ჩვენი მოსახლეობისათვის მისაღებია ის პროცესები, რაც ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის ინიციატივით მიმდინარეობს ჩვენს რეგიონში. სერიოზულად ვითარდება ინფრასტრუქტურა. ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შევქმნათ ხეობაში ადამიანების დასასაქმებლად. უახლოეს ხანში მოვაგვარებთ გაზიფიკაციის, წყლის სათავე ნაგებობების, სასმელი წყლის მილების წლობით მოუგვარებელ პრობლემებს და, ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა – ხილის რეალიზაციის პროცესი დროულად მოგვარებადი გახდება. შევქმნით სასურველ ბიზნეს-გარემოს ადგილობრივი მეწარმეებისათვის. უპოვარი და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის შევიმუშავებთ სოციალურ პროგრამებს. დაინტერესებულ პირებთან განვიხილავთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, სადაც გავითვალისწინებთ მოსახლეობის პირველად პრობლემებს. ბევრი ქართველისათვის ცხოვრების პირობები აუტანლად მძიმეა. გვჭირდება რეალური მოქმედება, რათა განვახორციელოთ პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე“.

**– გრძნობთ თუ არა მხარდაჭერას ამომრჩევლის მხრიდან?**

– ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. ეს კი მიადვილებს მათთან ურთიერთობას. რადგან ის ხალხი, ვინც ადგილობრივ ხელისუფლებაშია და ვისთან ერთადაც ორი წლის წინათ დავიწყე მუშაობა, აქ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ხალხის ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა. ისინი დროულად მომაწვდიან ყველა იმ საჭირბოროტო ინფორმაციას, რომელიც დგას ხეობის მოსახლეობის წინაშე.

**– თქვენ, ფაქტობრივად, ომში გაიზარდეთ. ომი კი თავის დაღს ასვამს ადამიანებს, რას ნიშნავს თქვენთვის სამშობლო?**

–ჩემი თაობის ახალგაზრდებს გამუდმებული ომის პირობებში მოგვიწია ცხოვრებამ. აქედან გამომდინარე, ბავშვობა ნორმალური არც გვქონია. 13 წლის ასაკიდან სულ სროლისა და აფეთქებების ხმა მესმის. რაც წამოვიზარდე, უფრო გავიგე მშვიდობის ფასი, რომელიც ყველა ადამიანისათვის აუცილებელი პირობაა.



**– რას ჰპირდებით ადგილობრივ მცხოვრებ ახალგაზრდებს?**

– ჩემი და ჩემს შემდგომი თაობა აქამდე რაღაცნაირად მივიწყებული იყო. ამიტომ მინდა ყველანაირად შევუწყო ხელი ხეობაში ჯანსაღი თაობის აღზრდას, რომ მეტი ყურადღება ექცეოდეს მათ ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს, რეალიზებადი იყოს მათი მაღალი დონის იდეები და მისწრაფებები. ხელს შევუწყობ ნიჭიერ თაობას.

**– ბატონო ბადრი, როგორ აფასებთ საქართველოს ხელისუფლების კურსს რეგიონთან მიმართებაში?**

– როგორ შეიძლება ასეთი აღმშენებლობის პროცესი მისაღები არ იყოს? – მიმოიხედეთ გარშემო, რამდენი რამ აშენდა. დარწმუნებული ვარ, თითოეულ ოჯახზე სასიკეთოდ აისახება ეს პროცესები.

**– არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. როგორ შეაფასებთ თქვენს წინასაარჩევნო კამპანიას?**

– ჩვენი საარჩევნო შტაბი ყოველდღიურ აქტიურ სამუშაო რეჟიმში მუშაობს. სამოქმედო ტერიტორია კი მოიცავს დიდი და პატარა ლიახვის ხეობის 20 სოფელს. ყოველდღიურად ვმართავთ შეხვედრებს მოსახლეობასთან, ვინიშნავთ მათ პრობლემებს. მზად ვართ, ამ ადამიანებს გავუწიოთ კონკრეტული დახმარებები.

**– გჯერათ, რომ გაიმარჯვებთ?**

– მჯერა, რომ ჩვენ, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მთელი საქართველოს მასშტაბით სერიოზულ გამარჯვებას მივაღწევთ. ხეობის გმირმა ამომრჩეველმა ყველაზე უკეთ იცის, ვინ მეტ სასიკეთო საქმეს გააკეთებს – მთავრობასთან დაახლოებული პირი თუ – ოპოზიციასთან, რომელნიც მხოლოდ ლაპარაკით არიან დაკავებულნი. ჩვენ გვყავანან პარტიული ორგანიზაციის კოორდინატორები და პარტიის აქტიური წევრები, რომლებიც სრული პასუხისმგებლობით ასრულებენ დავალებებს. დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში წინა არჩევნებზე გამარჯვებაც მათი დამსახურებაა. გვყავს ულალატო და პატრიოტული პარტიული გუნდი, რომელთან ერთადაც ბოლო 5-6 წელია, ნაბიჯ-ნაბიჯ მოვდივართ და ჩვენს რეგიონში ვცდილობთ წინა წლებში შემორჩენილი კორუფციის აღმოფხვრას.

ამასთან ერთად, მხარს გვიჭერს ჩვეულებრივი, უპარტიო მოსახლეობა, რომლებსაც აქვთ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის რწმენა...

ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია.

**ლია ჭილლაძე**

## ინფორმაცია

### რას აპირებს „გადარჩენილი“ სალინაძე?

**„ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“ მშვიდობის საფუძვლად მხოლოდ სამართლიან არჩევნებს ასახელებს და ხელისუფლებას სწორედ სამართლიანობის დაცვისაკენ მოუწოდებს. ამის შესახებ „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის“ ლიდერმა გია მაისაშვილმა გუშინ ბრიფინგზე განაცხადა და ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის დარღვევის ერთ-ერთ მაგალითად ფოთში არსებული ვითარება დაასახელა.**

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ფოთის მერმა ვანო სალინაძემ ხმათა მხოლოდ 42 პროცენტი გააყალბა „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ და ამით ხელისუფლების გაღიზიანებაც გამოიწვია.

მისი თქმით, სალინაძე მოხსნას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ გადაარჩინა, რის სანაცვლოდაც ფოთის მერმა პირობა დადო, რომ შესაბამის ბალანსს უკვე პარლამენტის არჩევნებში დაიცავდა და ამის გამო იგი „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატის თემურ წურწუმიას სასარგებლოდ ხმების გაყალბებისთვის ემზადება, – განაცხადა მაისაშვილმა.

„ქრისტიანულ-დემოკრატიულ ალიანსში“ აღნიშნავენ იმასაც, რომ დეპუტატობის კანდიდატ წურწუმიას მიმართ 2006 წელს პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე ჰქონდა აღძრული სამი მუხლით, თუმცა ეს საქმე მისმა მფარველმა სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორმა როლანდ ახალაიამ ჩაფარცხა.

ასევე პოლიტიკურ გაერთიანებაში დასძენენ, რომ როლანდ ახალაია ფოთში ახლაც ყოველკვირეულად ჩადის და ადგილობრივ ბიზნესმენებს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის არჩევნების დაფინანსებას აიძულებს. ამ ფაქტს კი როგორც „ქრისტიანულ-დემოკრატიულ ალიანსში“ აცხადებენ, ბიზნესმენები პირად საუბრებში ადასტურებენ.

ერთ-ერთ ძირითად დარღვევად კი „ქრისტიანულ-დემოკრატიულ ალიანსში“ მათ ფოთის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატ ელისო ჯანაშიაზე ზეწოლაზე საუბრობენ.

მათი თქმით, ზეწოლა ხდება როგორც ფოთის მერიის, ასევე “ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი კანდიდატის მხრიდან, ადგილი აქვს სატელეფონო მუქარებს, ახლობლების და ნათესავების დაშინებას და ა.შ.

### მაისაშვილი კულუარულ და ჭორებზე აგებულ პოლიტიკას ვერ იტანს

**„ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის“ ლიდერი გიორგი მაისაშვილი ხელისუფლებასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მხოლოდ საჯაროდ მიუჯდება. ეს გია მაისაშვილმა „ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“ საპარლამენტო სიის პირველი ნომრის დავით ბაქრაძის შეთავაზების კომენტირებისას განაცხადა.**

როგორც ცნობილია, დავით ბაქრაძემ გუშინწინ პოლიტიკურ ოპონენტებს შესთავაზა, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ პარლამენტის არჩევნებამდე თამაშის წესების შესამუშავებლად.

გია მაისაშვილის თქმით, იგი სახელისუფლებო მაგიდასთან მხოლოდ საჯაროდ, მედიის თანდასწრებით დაჯდება. „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის“ ლიდერმა აღნიშნა, რომ წარსულს უნდა ჩაბარდეს კულუარული პოლიტიკა, რადგან მის პოლიტიკურ გაერთიანებას სწორედ საჯარო პოლიტიკა მოაქვს.

კულუარული და ჭორებზე აწყობილი პოლიტიკა წარსულს უნდა ჩაბარდეს, – განაცხადა გია მაისაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

კითხული კაცის აზრი

# დაუჭერს კი ახალი პარლამენტი მხარს საკანონმდებლო ცვლილებას?

**ლადო პაპავას აზრით, კონტროლის პალატის ქუთაისში გადატანა გაუთვალისწინებელ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული**

***როგორც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა, ქუთაისში კონტროლის პალატა, გზების დეპარტამენტი, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ასევე რამდენიმე მარეგულირებელი და ცენტრალური უწყება გადავა.***

***როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ამ სტრუქტურებში უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. მისი დავალებით, ქუთაისში მოსახლეობა 100 პროცენტით უნდა დასაქმდეს.***

***სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ცენტრალური უწყებების ქუთაისში გადატანა ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას.***

***სახელმწიფო უწყებების ქუთაისში გადასვლასთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს და პარლამენტის ჯერ კიდევ მოქმედ წევრს ლადო პაპავას ესაუბრა.***



**— როგორ აფასებთ პრეზიდენტის ინიციატივას კონტროლის პალატის, გზების დეპარტამენტის და სემეკის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით?**

— საერთოდ, პრაქტიკაში მიღებული არის სახელმწიფო დაწესებულებების განლაგება არა მარტო დედაქალაქში, არამედ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ ეს უნდა იყოს არა თვითმიზანი, არამედ ამას უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზანშეწონილობაც, მათ შორის ეკონომიკური.

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის და გზების დეპარტამენტის ქუთაისში გადაყვანა ტექნიკურად შესაძლებელია და არანაირ პრობლემას არ ქმნის. რაც შეეხება კონტროლის პალატის მოშორებას თბილისიდან, აქ მნიშვნელობა არ აქვს — რომელ ქალაქშიც არ უნდა გადავიდეს, ეს ძალიან დიდი შეცდომაა. იმიტომ, რომ ძირითადი მხარჯავი ობიექტები არის თბილისში, აქ იგულისხმება ყველა ძალოვანი სამინისტრო — თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო; განათლების თუ ჯანდაცვის სამინისტრო, ან თბილისის მერია, რომელიც ასევე არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარჯავი სუბიექტი.

მათი გეგმით გათვალისწინებული შემოწმებები საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს იკავებს, ხანდახან რამდენიმე კვირასაც. ბუნებრივია, რომ როდესაც კონტროლის პალატა არის თბილისში, მაშინ სამივლინებო ხარჯები ფაქტობრივად არ არსებობს, ხოლო თუკი ის გადავა საქართველოს რომელიმე რეგიონში, წარმოიდგინეთ, რომ კვირაობით კონტროლის პალატის თანამშრომლები უნდა იყვნენ მივლინებაში. ეს აბსოლუტურად გაუმართლებელი სამივლინებო ხარჯებია, სანვაჟის ხარჯები და ა.შ. თანაც ერთადერთი ორგანო, რომელიც პარლამენტს აქვს იმისათვის, რომ ზედამხედველობა გაუწიოს მთავრობას, ეს არის კონტროლის პალატა. აქედან გამომდინარე, პარლამენტს საკმაოდ ხშირად ესაჭიროება სხვადასხვა მოსმენებზე, მათ შორის სასესიო თუ საკომიტეტო მოსმენებზე კონტროლის პალატის ხელმძღვანელობის მოწვევა. ამიტომ კონტროლის პალატის გადაყვანა თბილისიდან ეს არა მარტო შეცდომაა, არამედ ბიუჯეტის ხარჯებზე კონტროლის ფუნქციის შესუსტებასაც მოასწავებს.

**— რამდენად აქვს უფლება საქართველოს პრეზიდენტს, ჩაერიოს დამოუკიდებელი ორგანოების — კონტროლის პალატისა და სემეკის საქმიანობაში?**

— კონტროლის პალატა კონსტიტუციური ორგანოა, მის საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის აქვს. მის საქმიანობას არეგულირებს ორგანული კანონი „კონტროლის პალატის“ შესახებ. რაც შეეხება მარეგულირებელი კომისიის გადატანას სხვა ქალაქში, ეს არ ქმნის ისეთ პრობლემას, როგორც კონტროლის პალატის გადატანა. კონტროლის პალატის გადატანა ინსტიტუციური შეცდომაა და საფინანსო თვალსაზრისით ხელოვნურად გაზრდილ ხარჯებს გამოიწვევს.

კონტროლის პალატის გადატანას, ნებისმიერ შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილება დასჭირდება და არა მგონი, რომ მომავალმა პარლამენტმა ამას მხარი დაუჭიროს.

**სანდრო ჯუფალაკიანი**

ინფორმაცია

## კვლავ ხელმეორედ გაცემული პირადობის მოწმობები?!

**გაერთიანებული ოპოზიციის წალკის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი დავით დეკანაძე რაიონის ხელმძღვანელობასა და სახელისუფლო პარტიის წარმომადგენლებს ამომრჩეველთა სიის შეგნებულად გაყალბებაში ადანაშაულებს. მისი მტკიცებით, ბოლო პერიოდში წალკის რაიონში 800-მდე ადამიანზე პირადობის მოწმობები ხელმეორედ გაიცა.**

**— ეს ყველაფერი წალკაში ამომრჩეველთა სიის ხელოვნურად გაბერვისა და არჩევნების გაყალბების მიზნით კეთდება, — აცხადებს დეკანაძე.**

**მისივე ინფორმაციით, ცოტა ხნის წინათ რაიონში ჩასახლებულ ეკომიგრანტებზე ხელისუფლებამ თითო ჰექტარი მიწის ნაკვეთის განაწილება დაიწყო, უშუალოდ რაიონის მოსახლეობისთვის კი, მისი თქმით, რეალურად, მიწის ნაკვეთები არ დაურიგებიათ.**

**ინტერპრესნიუსი**

საგანგებო პრესკონფერენცია



## შალვა ნათელაშვილი:

# მანამდე არაფერი აუღგეს ბრაიზას...

**პირველი ლეიბორისტი „ვაშინგტონელ ბატონებს“ აფრთხილებს**

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ფიქრობს, რომ თუ 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებიც გაყალბდება, ეს მოხდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დასტურით. 1999 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ყველა არჩევნები გაყალბდა, ლეიბორისტული პარტია სამჯერ არ შეუშვეს პარლამენტში სწორედ „ვაშინგტონელი ბატონების“ ბრძანებით, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა პარტიის ოფისში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

მისი თქმით, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე მთელი პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკისრება: „ამერიკელებო, მოგვეცით ჩვენს სამშობლოში პოლიტიკური საქმიანობის უფლება“!

ნათელაშვილმა ყოვლად სამარცხვინო უწოდა „გრინბერგის“ ჯგუფის რეიტინგებს, რომლის მიხედვითაც „სამარცხვინო, გაკოტრებულ დიქტატორს“ სააკაშვილს 90 პროცენტი აქვს მოპოვებული. არ შეიძლება პოლიტიკური მიცვალებულის დიდხანს თრევაო, — დაასკვნა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ფიქრობს, რომ არჩევნები, ალბათ, ისევ გაყალბდება, ისევ გამოვა შონ მაკკორმაკი და განაცხადებს, დარღვევები კი აღმოჩნდა, მაგრამ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდაო. ვურჩევ მას, ასეთი სისულელე არ განაცხადოსო.

ნათელაშვილმა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ურჩია, არ გააყალბოს არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ამას აღარ მოითმენს და ეს ყველაფერი ისევ მათთვის დასრულდება ცუდად.

„თავად ჩამოვიარე სოფლები, ყველგან სააკაშვილის ორ-სამ მხარდამჭერზე მეტი ვერ აღმოვაჩინე. №5 წითელჯვრიანი ქუდებით მას მხარს უჭერს სოფლის ლოთი, სოფლის გიჟი ან სოფლის ბოზი“, — განაცხადა ნათელაშვილმა.

მისი აზრით, პოლიტიკა და ჯვარი სხვადასხვა მოვლენაა და არ შეიძლება ამით სპეკულირება, ასევე, პოლიტიკური აქციების წმინდა მოვლენებზე დამთხვევა მკრეხელობაა პოლიტიკოსისთვის.

ნათელაშვილმა მეთიუ ბრაიზასთან ურთიერთობაზეც ილაპარაკა. 2005 წლის 18 მაისს ბრაიზას, რომელიც მაშინ თეთრ სახლში მუშაობდა, ნიქსონის ცენტრში ნათელაშვილის გამოსვლის შემდეგ წერილი გაუგზავნია მისთვის, ვერ შეგხვდები მანამ, სანამ სააკაშვილზე ნათქვამ ყოველ სიტყვას უკან არ წაიღებო. „მანამ არაფერი აუღგეს ბრაიზას, ვიდრე სააკაშვილს ბოდიშს მოვუხდი“.

ამერიკაში ჩემი ყოველი გამგზავრების წინ ბრაიზა ყველა კონგრესმენს წერილს სწერს, რომ არ შემხვდნენო, — დაასრულა ნათელაშვილმა.

**ჩვენ კი საკითხავი ისღა დაგვრჩენია, ლეიბორისტული პარტიის ლიდერის „ბრძნულ“ განცხადებებს რატომ შეისმენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა?**

**თამარ შაიშმელაშვილი**

პარტია

# ნაციონალების კლიპშიც კი ეპისკოპოსია, არადა, აქამდე ეკლესიებს ანგრევდნენ

**პრეტენზიები არაკონკურენტული გარემოს გამო**

**ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის წევრები უკვე მერამდენე ქარტიის ავტორებად გვევლინებიან და, როგორც თვითონ ამბობენ, ამ ფორმით ახალი პოლიტიკური სტანდარტის დამკვიდრებას ცდილობენ.**

თემურ შაშიაშვილის, დავით კობახიძის, გია მაისაშვილისა და გიორგი გაჩეჩილაძის პარტიებისაგან შემდგარი ალიანსის უკანასკნელი ქარტია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად შეიქმნა, რომელიც რამდენიმე მუხლისაგან შედგება. ქარტიის მიზანია, პოლიტიკურმა სუბიექტებმა ხელი შეუწყონ ამომრჩეველთა უფლებების დაცვას, პოლიტიკურად იმოღვაწეონ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას არ დაუშვან კანდიდატების წინააღმდეგ მიმართული ყალბი და ცრუ ინფორმაციის გამოყენება, უარი თქვან მესამე პირისაგან მოწოდებულ, არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვებული კანდიდატის პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ვიდეო, აუდიო, ფოტომასალებსა და სატელეფონო მიყურადებაზე.

საპარლამენტო არჩევნების გამოცხადებისთანავე ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მსგავსი მემორანდუმი უკვე დაუგზავნა ყველა პოლიტიკურ პარტიასა და გაერთიანებას, თუმცა ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსმა ქარტიის საზოგადოებისათვის წარდგენა მაინც აუცილებლობად მიიჩნია.

— ამ ქარტიის მიღება იმიტომ იყო საჭირო, რომ ეს არჩევნები არათუ თავისუფალი, არამედ კონკურენტულიც კი არ არის, — განაცხადა ალიანსის საარჩევნო შტაბის უფროსმა დავით თარხან-მოურავმა, — თუ ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ, ისეთ საარჩევნო სისტემას შევქმნით, როცა ჩვეულებრივ მოქალაქეს საშუალება ექნება, სურვილისამებრ უფულოდ მისცეს ხმა.



თარხან-მოურავის თქმით, ადრინდელი ქარტია მედიისა და პარტიების ურთიერთობასა და საეთერო დროის შეზღუდვებს ეხებოდა. ადვილი შესამჩნევია, რომ ეთერი ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტისთვის დახშულია, ხოლო ზოგისთვის ღიაა, — აღნიშნა მან, — მივიღეთ ქარტია მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი ალიანსის სახელია ქრისტიან-დემოკრატიული, თუმცა არც ერთ გამოსვლაში რელიგიური თემით არ გვისპეკულირებია, როგორც ამას ზოგიერთი პოლიტიკური პარტია აკეთებს. ნაციონალების კლიპშიც კი ეპისკოპოსია, არადა, აქამდე ეკლესიებს ანგრევდნენ. ასეთი გზით ცხადია, რომ ეკლესიის დისკრედიტაციას ახდენენ.

ჩვენ გამოვაქვეყნეთ ქარტია ნაციონალური მოძრაობის ბიზნესმენი მაჟორიტარი კანდიდატისათვის. ყველამ კარგად იცის, რომ ისინი აიძულეს კენჭი ეყარათ, ამიტომ მოვუწოდეთ მათ, კანდიდატურა მოეხსნათ. როგორც გავიგე, ერთ-ერთს მართლა მოუხსნია კანდიდატურა, თუმცა ვერ დავიჩემებ, რომ ეს ამ ქარტიის ზეგავლენით მოიმოქმედა.

21 მაისამდე კიდევ არაერთ ქარტიას შევთავაზებთ საზოგადოებას, შევეხებით ყველა პრობლემურ საკითხს, მაგრამ კონკრეტულად ამის შესახებ საარჩევნო პიარ-კამპანიის დროს გაიგებთ, — დასძინა შტაბის უფროსმა.

**თეა მოსია**

თვალსაზრისი

***აფხაზეთში** რუსეთის დესტრუქციულ მოქმედებაზე, საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად რუსეთის სამშვიდობო ძალების დამატებითი კონტინგენტის შეყვანაზე, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ აფხაზეთში ქართული ავიაციისათვის, პრაქტიკულად, ფრენის აკრძალვაზე, ტყვარჩელის რაიონში, ზემო აფხაზეთთან ახლოს რუსეთის შინაგანი ჯარების მედესანტეთა ქვედანაყოფის განლაგებასა და დაძაბული ვითარების განმუხტვის პერსპექტივაზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ **დავით დარჩიაშვილს** ესაუბრა.*

# დავით დარჩიაშვილი: აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ფორმატი შეიცვლება, ოღონდ, როდის და როგორ, ამას დრო გვიჩვენებს



**— ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით აფხაზეთში შექმნილ ვითარებას?**

— ამაზე პასუხი მარტივია, ყველა ეს ნაბიჯი მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი არღვევს, ზოგადად, საერთაშორისო სამართალს და, კონკრეტულად, მშვიდობისმყოფელისა და მედიატორის ფუნქციას საერთოდ ივიწყებს. აშკარად ჩანს, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში მხარეა. თავისი მოქმედების გასამართლებლად რასაც არ უნდა ამბობდნენ რუსეთის ოფიციალური პირები, საერთაშორისო თანამეგობრობა დარწმუნდა, რომ რუსეთი საქართველოში არსებულ კონფლიქტებში დაინტერესებული მხარეა.

**— რუს ექსპერტთა ერთი ნაწილის შეფასებით, შექმნილ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ ეფექტიანად მოქმედებს. ახლა საქართველოს აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნების უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია იმის მოლოდინი, რომ რუსეთი გაითვალისწინებს საქართველოს მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით აშშ-სა და დასავლეთის კრიტიკას და თბილისთან მიმართებაში თავის დამოკიდებულებას შეცვლის?**

— რუსეთი, როგორც პოლიტიკური სისტემა, იყო და რჩება არაპროგნოზირებადი, ამის გათვალისწინებით ბოლომდე გათვლა წარმოუდგენელია, მაგრამ ვფიქრობ, რუსული პოლიტიკური კლასი პრაგმატიზმისაგან სრულიად დაცლილი არ არის და როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა ასეთ განცხადებებს აკეთებს, ამას ანგარიში რუსეთის მხრიდანაც უნდა გაეწიოს.

დიპლომატიური ძალისხმევა გაგრძელდება, გაგრძელდება შეხვედრები და ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც საქართველოს დიპლომატია იყენებს და რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა მისდევს. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, რომელთა ურეაგიროდ დატოვება შეუძლებელია. თუ იქნება თავდასხმა ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებზე, ბუნებრივია, მათი და მთელი საზოგადოების და ქართული პოლიტიკური სპექტრის მოვალეობა იქნება, დაიცვას საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტი

**— ქართული, რუსული და უცხოური პრესა ბევრს საუბრობს აფხაზეთში, კერძოდ, კოდორის ხეობაში საომარი მოქმედებების დაწყების ალბათობაზე. ბევრი რუსი პოლიტიკოსი ამისთვის საუკეთესო დროდ სწორედ ახლა შექმნილ ვითარებას მიიჩნევს. თქვენი პროგნოზით, რამდენად სავარაუდოა კოდორის ხეობაში საომარი მოქმედებების დაწყება?**

— ჩემი აზრით, რუსეთი უფრო საქართველოს ნერვების მოსინჯვით არის დაკავებული. მოსკოვში იმედოვნებენ, რომ ქართული მხარე ემოციას არადროულად გამოავლენს და ამის გამო საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის განწყობა შეიცვლება.

არა მგონია, რომ რუსეთს მიღებული ჰქონდეს გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ, მაგრამ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. მაშინ, როცა დაპირისპირებული ძალები ერთმანეთთან ახლოს დგანან, შეტაკების რისკი ყოველთვის არის.

**— თუ ადრე ვსაუბრობდით იმაზე, რომ რუსეთი აფხაზეთში „მცოცავი ანექსიის" პოლიტიკას ატარებდა, ახლა ფაქტია, რომ ანექსია პრაქტიკულად რეალობაა. რუსეთის სამხედრო ძალები აფხაზეთს სრულად აკონტროლებენ.**

— დარწმუნებული ვარ, რომ დღეისათვის აფხაზეთში შექმნილი ვითარება ძალიან დროებითია. ამ სარისკო მოვლენებში დადებითი არის ის, რომ ახლა ჩვენს გარდა ყველამ დაინახა და აღიარებს, რომ რუსეთი არის კონფლიქტის მხარე და იგი საერთაშორისო სამართალს არღვევს. შეუძლებელია, რომ მას ეს დაუსრულებლად გაუვიდეს და აფხაზეთი ანექსირებული დარჩეს. ყველანაირი პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე ეს ძალიან ძნელად წარმოსადგენია.

რუსეთს სამყაროსგან იზოლირებულად არსებობა არ შეუძლია და ამგვარი მოქმედება ყოველთვის წინ დახვდება, როცა პრაგმატული პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები ექნება დასაკმაყოფილებელი.

რუსეთის ყველა ინტერესი, ევროკავშირთან და იგივე აშშ-სთან ძალიან მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს, ყველაფერი ამისთვის ხაზის გადასმა და მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის ანექსია არ მგონია თავად რუსეთს აძლევდეს ხელს. მათი გათვლები იმაზეა ორიენტირებული, რომ საქართველოს რაღაც შეეშალოს, ქვეყნის შიგნით აირიოს ვითარება, მოხდეს დესტაბილიზაცია და ყურადღება არ იყოს კონცენტრირებული საქართველოს ნატოში გაწევრებაზე.

რაც შეეხება ანექსიაზე მეტი აქცენტის გაკეთებას. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება ხმამაღლა ამბობს, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ანექსიას ახდენს და მომავალში მეტი ითქმება.

როდესაც ოპოზიციის ნაწილი ითხოვდა საქართველოს დსთ-დან დაუყოვნებლივ გასვლას, ეს იყო ცეცხლზე ნავთის დასხმა. დსთ-დან გამოსვლის საკითხი იმ დონეზე უნდა მომწიფდეს, რომ სხვა გზა არ რჩებოდეს, ახლა სწორედ ამ ვითარებას ვუახლოვდებით. რაღაც ნაბიჯები კიდევ გადაიდგმება, თუ მანამდე რუსეთი უფრო პრაგმატული არ გახდა. ღმერთმა არ ქნას, რომ საქმე უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმამდე, ანუ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდე მივიდეს.

**— ბრიუსელიდან დაბრუნებულმა თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ ევროკავშირთან ერთად აფხაზეთში პოლიციური ოპერაციის ჩატარებაზე უნდა იფიქროს. რამდენად რეალურად მიიჩნევთ სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლას და ევროკავშირის ეგიდით თუნდაც პოლიციური ოპერაციის ჩატარებას?**

— ამ მიმართულებით გადადგმული პირველი და უმთავრესი ნაბიჯია ის, რომ ევროპას არგუმენტი აღარ დარჩენოდა იმის სათქმელად, თითქოს რუსეთი შუამავალია. ახლა ევროპის ლოგიკური ნაბიჯი ის არის, რომ მან იფიქროს სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლაზე. ამაზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს და ეჭვი არ მეპარება, ასეც იქნება.

აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ფორმატი შეიცვლება. როდის და როგორ, ამას დრო გვიჩვენებს. პოლიტიკაში ყველაზე საშიში სულსწრაფობაა. მთავარია, ჩვენ ევროპელების თვალში სულსწრაფი აგრესორები არ აღმოვჩნდეთ.

**კობა ბენდელიანი**

სამართალი თანდათან ნაყრდება

# ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ სასამართლო პროცესს იგებს





**ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის ინა გუდავაძის პრესსამსახურმა სააგენტო „ინტერპრესნიუსს" ექსკლუზიურად მიაწოდა პრესრელიზი, რომელიც პატარკაციშვილის ოჯახის მიერ ჯოზეფ ქეისთვის (კაკიაშვილისთვის - რედ) ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო პროცესის მოგებას შეეხება.**

პრესრელიზის თანახმად, ქეი აღიარებს, რომ იგი ამჟამად არ არის უფლებამოსილი, განკარგოს ბადრი პატარკაციშვილის ქონება.

უცვლელად გთავაზობთ პრესრელიზის ტექსტს: ნიუ-იორკის სასამართლო განხილვის შედეგად, მიმდინარე კვირას, პატარკაციშვილის ოჯახმა მოიპოვა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ჯოზეფ ქეი ველარ განაცხადებს პრეტენზიას ბადრი პატარკაციშვილის ქონების განკარგვაზე. ქონების განმკარგავს აქვს ფართო უფლებამოსილება, მართოს და გაანაწილოს გარდაცვლილის კუთვნილი აქტივები. აშშ-ს მოქალაქე ქეი მანამდე აცხადებდა, რომ მას აქვს ეს უფლებამოსილება ბადრი პატარკაციშვილის ქონებასთან დაკავშირებით.

ქეიმ, რომელსაც არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია, სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ სასამართლოს განკარგულების გარეშე მას არ აქვს უფლება საჯაროდ განაცხადოს ან ამცნოს რომელიმე მესამე პირს, რომ იგი არის ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებელი ან უფლებამოსილი, განკარგოს მისი ქონება და, რომ არც ერთი საბუთი, რომლებსაც იგი და მისი ადვოკატი ზელცერი იყენებდნენ, არ ანიჭებს მას ამგვარ უფლებას.

ქეის არასოდეს მიუმართავს სასამართლოსთვის იმ უფლების დასამტკიცებლად, რომელზედაც იგი პრეტენზიას აცხადებდა და ახლა იგი აღიარებს, რომ ველარ წარმოადგენს ბადრი პატარკაციშვილს სასამართლოს შესაბამისი განკარგულების გარეშე.

ქეის წინააღმდეგ ნიუ-იორკის სასამართლოში სარჩელის შეტანა იყო ის ერთ-ერთი ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც პატარკაციშვილის ოჯახი საზოგადოებას შეპირდა. მიუხედავად იმისა, რომ ქეიმ ნიუ-იორკში განაცხადა, რომ მას არ ჩაუდენია რაიმე კანონსაწინააღმდეგო, არაზნეობრივი ან შეუფერებელი საქციელი, ოჯახი მას მიიჩნევს მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედ თვითმარქვია პირად, და რომ იგი არ არის უფლებამოსილი განკარგოს ბადრი პატარკაციშვილის ქონება ან წარმოადგინოს გარდაცვლილი ან მისი ოჯახი რაიმე სახით. „ჯოზეფ ქეი არ არის ჩვენი ოჯახის წევრი. იგი არ არის უფლებამოსილი, ისაუბროს ჩვენი სახელით ან პრეტენზია განაცხადოს ბადრის ქონებაზე. ჩვენ სარჩელს შევიტანთ, რათა ყველას ვაჩვენოთ, რომ მისი ქმედება არასწორია", — განაცხადა ბადრი პატარკაციშვილის მეუღლემ ინა გუდავაძემ.

ნიუ-იორკის სასამართლოს ეს განკარგულება, რომელსაც ჯოზეფ ქეი არ შეწინააღმდეგებია, ადასტურებს, რომ მისი პრეტენზია ბადრის ქონების კანონიერად განკარგვაზე სიცრუეა, — განაცხადა ლაშა ბირკაიამ, საერთაშორისო ადვოკატთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლორდ პიტერ გოლდსმიტი.

„ოჯახი აფრთხილებს ყველას, რომ ნებისმიერმა, ვინც საქმეს დაიჭერს ქეისთან ან მის თანამზრახველებთან, უნდა იცოდეს, რომ საქმე აქვს ადამიანთან, რომელსაც არ გააჩნია უფლებამოსილება, განკარგოს ბადრის ქონება ან აქტივები. ჩვენ ღიად განვაგრძობთ სამართლებრივ ბრძოლას ქეისა და მისი თანამზრახველების წინააღმდეგ. ნებისმიერი მისი გარიგება სხვა პირებთან ბადრის კუთვნილი ქონების თაობაზე, იგივე სახით გასაჩივრდება და ჩვენ გვწამს, რომ საბოლოო ჯამში, ყველა ასეთი შესაძლო გარიგება გაუქმდება სასამართლოს მიერ და ოჯახს აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი", — ნათქვამია პრესრელიზში.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ყველას თავისი აზრი აქვს

# ლაპარაკი საქმის ნაცვლად

**იმ დროს, როცა მიხეილ სააკაშვილი და მისი მუხლჩაუხრელი გუნდი, გია როინიშვილის თამადობით, ლაპარაკის ნაცვლად მუხლჩაუხრელად ირჯებიან, ჩვენი ევროპელი და ამერიკელი „მეგობრები“ საქმის ნაცვლად ცარიელი ლაპარაკით იხარჯებიან, თანაც ისე უთავგზოდ, რომ სჯობდა, საერთოდ არ ელაპარაკათ.**

ბ-ნი მიხეილის მოულოდნელ საქმეებს ადრეც არაერთხელ გავუკვირვებივართ, მაგრამ იმან, რაც მან ბოლოს ქნა, სახტად დატოვა ყოვლისმნახველი დასავლელი „მეგობრები“ და ყალყზე შეაყენა ყოვლისჩამდენი რუსეთი მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში მთელი საქართველო იზეიმებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“.

და უთუოდ იზეიმებდა კიდეც, დასავლელი „მეგობრები“ სააკაშვილივით ლაპარაკის ნაცვლად საქმეს რომ აკეთებდნენ, ან, საქმეს ვინ ჩივის, უმიზეზოდ მაინც არ ლაპარაკობდნენ. მაგრამ მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

20 აპრილს უმაღლესმა მთავარსარდალმა უპილოტო და უიარაღო თვითმფრინავი ქაღალდის წეროსავით შეაფრინა რუსების მიერ კონტროლირებად სივრცეში და სეირის საყურებლად სათვალთვალო პულტთან გაინაბა, ვნახოთ ერთი, რა მოხდებაო. რუსებმა კალენდარს დახედეს და რაკი დარწმუნდნენ, რომ პირველი აპრილი არ იყო და ჰაერში თავისთვის მოლივლივე უწყინარ რკინის ჩიტს სერიოზული სამხედრო რაკეტა სტყორცნეს, რამაც საწყალი უპილოტო (კიდევ კარგი, უპილოტო იყოძ თვალის დახამხამებაში ნაფოტებად აქცია. ყველაზე კურიოზული კი ის იყო, რომ, ამ უსულგულობის ჩამდენებმა ჩვენს მთავარსარდალს აქეთ დაუწყეს ბრალის დადება.

პირველი ხმაური აფხაზებმა ატეხეს, საქართველომ ჩვენი საჰაერო სივრცე დაარღვიაო. მთავარსარდალმა დამნაშავესავით ხელები გაასავსავა, რა თვითმფრინავი, რის თვითმფრინავიო. მერე, იქით შეუტია, რათა აქეთ შერჩენოდა, რუსებმა ჩვენი თვითმფრინავი ჩვენსავე ლეგიტიმურ საჰაერო სივრცეში ჩამოაგდესო. რუსები კატასავით ზურგზე არ დაეცნენ და თვითმფრინავის ჩამოგდება აფხაზებს გადააბრალეს.

ეგრე არ უნდაო და, ნაციონალების მამა-მარჩენალმა სიის პირველი ნომერი, რა დროს სიააო, თავის შესაცოდებლად „მეგობრებთან“ აფრინა. დიპლომატიას დიპლომატისა ეშინიაო და, მანაც, როგორც მამა-მარჩენალმა დააბარა, აუჩუყა და აუჩუყა გული თავისი ინგლისურით, სანამ ეყო, კონდოლიზას, აპატურაის, ტომ კეისს, მარი ოკაბეს, ტონი ფრატოს და ყველას, ვინც სადმე კორიდორში ან ტუალეტის შესასვლელში შემოხვდა (ტუალეტში არ შეხვდა ერთხელ ბ-ნი მიხეილიც „ლილიპუტინს“ ასტანაში?!ძ, რათა „საერთო“ საქმის საკეთებლად აღეგზნო. თუმცა საქმისა რა გითხრათ, მაგრამ ლაპარაკის სადღეღელი კი მართლა ყველას აღუგზნო.

საქართველოს ყველაზე დიდი მეგობარი, ბუშის შემდეგ, კონდოლიზა რაისი, თურმე, „უკიდურესად შეშფოთებულა“ (ბუში რაღა დღეში იქნებოდა!ძ, რას მიქვია მშვიდობისმყოფელთა რაოდენობის გაზრდაო, და იქვე გაუფრთხილებია რუსები (ბუშისა არაფერი ვიცით, ეტყობა, ჯერ არ გაუგიაძ: „რუს მშვიდობისმყოფელთა რაოდენობა დასაშვებ პარამეტრებს არ აღემატება, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებებით არის განსაზღვრული“-ო.

ჯეიმს აპატურაი კი, ნატოს წარმომადგენელი, თურმე, ყურებს აპანტურებდა. შეშფოთდა თუ არა, ვერ გეტყვით, სამხედროები ცოტა მძიმე ხალხია და პირდაპირ მუქარაზე გადასულა რუსების მიმართ: „ტექნიკური თვალსაზრისით, რუსეთს სრული უფლება ჰქონდა თავისი სამშვიდობოების კონტინგენტის გაზრდის“-ო. ბ-ნ აპატურაის იმდენი უპანტურებია ყურები, რომ „მზისა“ თუ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კომენტარისთვისაც ყური მოუკრავს და შეუცხადებია, ჩემი ნათქვამი თქვენს სასარგებლოდ რატომ მიგითარგმნიათო.

ტომ კეისზე, მარი ოკაბეზე, ტონი ფრატოზე და სხვა „მეგობრებზე“ ცალ-ცალკე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ყველანი, თითქოს პირი შეუკრავთო, ერთნაირად შფოთავდნენ და ერთნაირად მოუწოდებდნენ ორივე მხარეს, ე.ი. საქართველოსაც, თავი შეეკავებინათ ძალის გამოყენებისაგან: „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ჩართულმა მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ცალმხრივი მუქარისაგან ძალის გამოყენების შესახებ“-ო.

საქართველო კი შეიკავებს თავს, თუ დააკავა მათ მიერვე ანწყვეტილი პრეზიდენტი, მაგრამ მეორე მხარე შეიკავებს თავს?

ამასობაში, რუსებმა კაზაკი და ჩეჩენი „სამშვიდობოებით“ გაავსეს აფხაზეთი და განუკითხავად აძარცვინებენ და აუპატიურებინებენ გალის ქართულ მოსახლეობას. ბაღაფშის თავხედობა კი იქამდე მივიდა, რომ დაიმუქრა, თუ ჭკუით არ იქნებით, იქით შემოგიტევთ და რამდენიმე დღეში ქუთაისსაც ავიღებთო!

აიღებ რა, აღარ უშლიან?! ერთი ჩვენს დიპლომატ დავით ბაქრაძესაც ჰკითხეთ!

ვოიაჟიდან დაბრუნებული ბ-ნი დავითი კი, კმაყოფილებით გაბადრული, თვითონვე ტკბება თავისი მოლაპარაკებების შედეგებით: „ნატოს წევრმა ქვეყნებმა საქართველოს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს, რაც მათ მიერ შეხვედრების შემდეგ გაკეთებულ განცხადებებშიც აისახა“-ო.

შენ პირს შაქარი, ბ-ნო დავით!

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე




## ◉ 9 მაისი გორში

# პრეზიდენტი ომის ვეტერანებს შეპირდა, მომავალში თვალისჩინივით გაგიფრთხილდებითო

**მაისია და რუსეთის ქალაქებსა და დაბებში ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული დააბიჯებს. ამდენი სიმღერა, ღიმილი და სიხარული მოსკოვის ფართო ქუჩებმაც კი ვერ დაიტია. ყვავილები ათოვს ჟუკოვის, სხვა მხედართუფროსების ძეგლებსა და მემორიალებს. უმაღლესი მთავარსარდალი კი საქართველოს ერთ პატარა ქალაქში განდეგილივით დამდგარა და ქვეყნის ბედზე დაფიქრებული შორს, სივრცეს გასცქერის.**

ბელადის ძეგლმა გორში შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული დიდი განსაცდელი გამოიარა. ყოფილმა გუბერნატორმა ლადო გეგელაშვილმა ისე, რომ არავისთვის უკითხავს, თვითნებურად სტალინის ძეგლის წინ უზარმაზარი საათი ააყუდა. გაკვირდნენ გორელები. გუბერნატორის გამოსაჯავრებლად საათს „ლადოს ბიგ-ბენი“ დაარქვეს. დღეს შიდა ქართლში გუბერნატორად სხვა ლადო ზის, ვარძელაშვილი.



დანიშნეს თუ არა, ლადო ვარძელაშვილმა თავისი წინამორბედის თვითშემოქმედებას წერტილი დაუსვა, მოაძრო „ბიგ-ბენი“ (ზარი და ნიჩაბი მარტო ერთი ხიდან კი არა, ერთი სახელიდანაც გამოდისძ და სხვა ადგილზე გადაიტანა. მოედანმა ადრინდელი არქიტექტურული სახე დაიბრუნა, ბელადს ლაქა ჩამოწმინდეს.

ცხრა მაისს გორში, ქალაქის მთავარ მოედანზე, სტალინის ძეგლთან ომის ვეტერანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი მივიდა. გახუნებული, დაკემსილი სამხედრო კიტელი, ზედ დამაგრებული საბრძოლო ორდენები და მედლები, ყავარჯნებზე, ხელჯოხებზე დაყუდებული ჯარისკაცები. ყოველწლიურად კლებულობს მათი რაოდენობა. ჩუმად, უხმაუროდ მიდიან ამ ქვეყნიდან, ანდერძად გვიტოვებენ, პატივი მივაგოთ წარსულს, იმათ სახელებს, ვინც სანთელივით დაიწვა, ვერ დააღწია თავი ომის ჯოჯოხეთს და ვისი ძვლებიც რუსეთის, ევროპის ქვეყნების მიწაშია გაბნეული.

საქართველოში პატივს არ სცემენ ცხრა მაისს, — ვისაც ეზეიმება, იზეიმოსო.

ვითომ რატომ არ გვეზეიმება?! ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი მტერთან საბრძოლველად წავიდა, შეერთებული ძალებით ფაშიზმი დავამარცხეთ და არ ვიზეიმოთ?! სამასი ათასი ვაჟკაცი თავის კერას ვეღარ დაუბრუნდა და მათი სახელის ხსენება რა, მკრეხელობაა?!

ამ ფიქრებში იყვნენ 9 მაისს, გორში, საბრძოლო დიდების მუზეუმში შეკრებილი ვეტერანები. დაღვრემილი სახეები, უსიხარულო გამოხედვა, სევდიანი ღიმილი...

ამინდიც რომ შესატყვისი გამოვიდა, — თავ-პირი ჩამოსტიროდა ცას.

* * *

**დღის მეორე ნახევარში წვიმამ გადაიღო და გამოიდარა კიდეც ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც: ქართლის მეთაურ ქალაქს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესტუმრა. იგი ბინაზე ეწვია ომის ვეტერან ირაკლი ყანდარელს, გადასცა ღირსების ორდენი და მას და მისი სახით საქართველოს ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა.**

სტუმარ-მასპინძელმა ისაუბრა ომზე, მშვიდობაზე, შეეხნენ აფხაზეთის თემასაც. აღმოჩნდა, რომ ირაკლი ყანდარელი კავკასიის ფრონტზე იბრძოდა და როცა ფაშისტები სანჩაროს უღელტეხილს მოადგნენ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარს აფხაზეთში ერთად იცავდნენ ქართველები, აფხაზები, რუსები, ოსები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

— მინდა ვეტერანებს, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა, — ჩვენი საზოგადოების ოქროს ფონდს, ბოდიში მოვუხადო იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ ვუვლით მათ და გპირდებით, რომ მომავალში თვალისჩინივით გაგიფრთხილდებით.

პრეზიდენტმა აღნიშნა, თუ რა დამსახურება მიუძღვის საქართველოს ფაშიზმის განადგურებასა და მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებაში. ქართველები მამაცურად იბრძოდნენ მთელ ევროპაში და არც რაიხსტაგი აღმოჩნდა მათთვის ძნელად მისაწვდომი — მელიტონ ქანთარიამ სწორედ მის გუმბათზე აღმართა გამარჯვების დროშა.

პრეზიდენტის ნათქვამს გორელი ვეტერანები გამოეხმაურნენ.

— როგორც იქნა, ჩვენთვისაც გამოიდარა, — მითხრა ნაფრონტალმა და ნაჯაფმა, ტანკისტმა და ტრაქტორისტმა შოთა გურგენიძემ. — კარგა ხანს არავინ გვაქცევდა ყურადღებას. მიხეილ სააკაშვილის განცხადების შემდეგ ჩვენს სასიკეთოდ ბევრი რამ შეიცვლება. მწამს, რომ ეს სიტყვები პრეზიდენტის გულიდან მოდის და წინასაარჩევნო ვითარებით არაა ნაკარნახევი.

**გურამ ვაშაკიძე**

## ჩარეცხილთა დიალოგი

***ნაპოლეონ ქარქაშაძე**, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, სხვა საერთაშორისო აკადემიების წევრი, მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად (ქ. სოხუმი), საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად. 2004 წელს მრავალთაგან ერთ-ერთი „გაუგებრობის" გამო მოხვდა ორთაჭალაში, ე. წ. „იმ სივრცეში", თუმცა ეს „ორთაჭალა" ნაპოლეონ ქარქაშაძისთვის „ვატერლოო" სულაც არ გამხდარა...*

# მთავარი ის კი არ არის, რომელი პარტია გაიმარჯვებს, მთავარი ის არის, ხალხი არ დამარცხდეს...



## ჩვენი სტუმარია აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე

**— ბატონო ნაპოლეონ, კარგა ხანია არ გამოჩენილხართ პრესის ფურცლებზე, არადა საინტერესოა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების თქვენეული შეფასება.**

— ბატონო გურამ, თქვენ თვლით, რომ ჩემნაირი კაცების მოსაზრება დღევანდელ საქართველოში ვინმეს აინტერესებს? ჩვენ ხომ საზოგადოებას კარგა ხანია ჩამოგვაცილეს? თუმცა ვაზროვნებთ და, ცხადია, გვაქვს გარკვეული მოსაზრებებიც.

**— ვერ დაგეთანხმებით, სწორედ თქვენი თაობაა ჭკუის საკითხავი, პირადად თქვენ ხომ თითქმის ყველაფერი იწვნიეთ საკუთარ თავზე, კარგიც და ცუდიც.**

— „ცუდში", ალბათ, ის გაქვთ მხედველობაში, რომ ამათი „დამსახურებით", „სივრცეშიც" კი მოვხვდი. სხვათა შორის, აფხაზებმა გაზეთის მთელი გვერდი მიუძღვნეს ჩემი საქმიანობის ანალიზს. მართლაც ობიექტური სტატია იყო. მე ხომ აფხაზეთში 16 წელიწადი ვიმუშავე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად. ვიყავი ქართული ეროვნული ერთიანობის საბჭოს თავმჯდომარე. ფაქტობრივად ვხელმძღვანელობდი იმ პოლიტიკურ ფრთას, რომელიც აფხაზეთის ქართველობის და, აქედან გამომდინარე, სრულიად საქართველოს ინტერესებს იცავდა. გვქონდა მწვავე პოლიტიკური დებატებიც, ზოგჯერ ზღვარს გადასულიც, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, რომ აფხაზებს ჩემი პატივი და ღირსება შეელახათ, ამის ცდაც კი არ ყოფილა. თბილისში კი, ახალმა ხელისუფლებამ რაც მაკადრა, თქვენ კარგად იცით, სწორედ ამაზე წერდნენ სიმართლეს აფხაზები. თუმცა ჩემი „სივრცეში" ყოფნა სხვა თემაა.

**— სწორედ იმიტომაც არის საგულისყურო თქვენი მოსაზრება აფხაზეთთან დაკავშირებით, რომ თქვენ აფხაზებს კარგად იცნობთ. რას ფიქრობთ პრეზიდენტის ამასწინანდელ შეთავაზებაზე?**

— ფაქტობრივად, ისინი, აფხაზები, ამ შეთავაზებით აფხაზეთის მთლიანად გაკონტროლებას შეძლებენ, მაგრამ აქ მთავარია ნდობის ფაქტორი. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა კონსტანტინე სალია, აფხაზი კაცი. როდესაც უკიდურესად გამწვავდა სიტუაცია ქართველებსა და აფხაზებს შორის, მან პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვა თანამდებობა. აფხაზეთის ომის დროს საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, ბოლოს ჩააბარეს ტურიზმის დეპარტამენტი, მაგრამ მალე იქიდანაც გაათავისუფლეს?! არადა საქმის მკეთებელი კაცია. მეორე ფაქტი: ჩვენს მხარეს უყოყმანოდ დადგა შესანიშნავი აფხაზი კომპოზიტორი ქალი სვეტლანა ქეცბა, რომელსაც თბილისში არსებულ აფხაზეთის მთავრობაში კულტურის მინისტრის თანამდებობა ეკავა მცირე ხნით. რატომღაც ისიც გაათავისუფლეს. იგივე ბედი გაიზიარა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ალექსანდრე მოსკალენკომ, რომელიც ლიხნის მოვლენების დროს ჩვენს მხარეს დადგა, გოლგოთის გზით იგი თბილისში გადმოვიდა, ცოტა ხანი სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა, მალე იქიდანაც გაათავისუფლეს. ცნობისთვის: ვინმე ვორონოვი, რომელმაც კონფლიქტის დროს აფხაზებს დაუჭირა მხარი, იმათ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს. ვითომ ახლა დაგვიჯერებენ აფხაზები, რომ გულწრფელები ვართ? იმათ ჩვენი საქმე უნდა იხილონ, ჩვენს გულწრფელობაში უნდა დარწმუნდნენ, ეს კი მარტო სიტყვებით არ გამოდის.

**— ერთხელ თქვენ ხუმრობით თქვით, თუ აფხაზეთი აღარ გვიერთდება, ავდგეთ და ჩვენ შევუერთდეთ აფხაზებსო...**

— ცოტა სხვანაირად ითქვა: მე გავიხუმრე, „მოდით, ქართველებმა ვთქვათ, რომ ჩვენც თურმე აფხაზები ვყოფილვართ-მეთქი". ხომ ერქვა ერთ დროს მთელ დასავლეთ საქართველოს აფხაზეთი, ამას არც აფხაზები უარყოფენ, ეს, ცხადია, ხუმრობით.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, დავიბრუნებთ აფხაზეთს?**

— მოდით, ასე ვთქვათ, თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციის გზით მიდის, ეს კანონზომიერი პროცესია და ეს შეეხება ყველა სახელმწიფოს. მე ვთვლი, რომ გამწვავებული პოლიტიკური საკითხი დროებით უნდა გადავდოთ და წინ წამოვწიოთ ეკონომიკური პრობლემები. მოვხსნათ ბლოკადა და დავიწყოთ იმ ბერკეტების ძიება, ორთავე მხარეს რომ ეკონომიკურად ასარგებლებს. გავხსნათ სარკინიგზო მიმოსვლა, გაჩნდება ერთობლივი ბიზნესინტერესები, შეიქმნება ერთობლივი კომერციული სტრუქტურები. გავუხსნათ ერთმანეთს ბაზრები, ნუ შევზღუდავთ მიმოსვლას, ამას მოჰყვება აფხაზეთში ლარის შესვლაც, აღდგება ნდობა, გაჩნდება საერთო ინტერესები, რასაც საბოლოოდ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაც მოჰყვება და ამის აუცილებლობას აფხაზებიც დაინახავენ. ჩვენ დიდი დრო დავკარგეთ ე. წ. „ფუჭსიტყვაობაში", რასაც, სამწუხაროდ, პრობლემების კიდევ უფრო მკაცრი ესკალაცია მოჰყვა. ბიზნესი და ეკონომიკა არის ის ბერკეტები, რომელთაც, საბოლოო ანგარიშით, ყველა მწვავე პრობლემის გადაწყვეტა შეუძლიათ. დღეს მსოფლიო „დაჭკვიანდა", სიბრძნე და გონიერება იმარჯვებს, ჩვენც ამ წესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

**— ოსეთის მოვლენებსაც ადევნებთ, ალბათ, თვალყურს. აქ როგორ გესახებათ პრობლემების მოგვარება...**

— ჩემი კატეგორიის ხალხს ფიქრისათვის ბევრი დრო რჩებათ. ცხადია, ოსეთიც არანაკლებ პრობლემატურია. თქვენ, ალბათ, გახსოვთ ოსეთის ყოფილი ე. წ. პრეზიდენტის ჩიბიროვის ლიკანში ჩამოსვლა. მაშინ ოსების ძირითადი მოთხოვნა იყო სახელწოდება „ოსეთის" შენარჩუნება, რაზედაც ჩვენმა მხარემ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. ცხონებულ ვახტანგ გოგუაძეს ვუთხარი, რომ გვეხმარა ტერმინი, რომელიც ისტორიულად იყო გამართლებული: „საქართველოს ოსეთი". ამით ხაზს ვუსვამდით იმასაც, რომ ისინი ეთნიკური ოსები კი არიან, მაგრამ ცხოვრობენ ქართველების კუთვნილ ქვეყანაში, რატომღაც ამ თემამ გაგრძელება ვერ ნახა. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ცხადია, აქაც ეკონომიკით უნდა დავიწყოთ, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონში ბიზნესის განვითარების უკეთესი პირობები გვაქვს, ვიდრე აფხაზეთში.

**— უნდა ვისარგებლო შემთხვევით და როგორც მეცნიერ-ეკონომისტს გკითხოთ, რა აზრისა ხართ ფოთის ეკონომიკურ ზონაზე?**

— სხვათა შორის, მიკვირს რატომ არ იყო გათვალისწინებული დეპუტატ ლადო პაპავას მოსაზრება. იგი საკმაოდ ცნობილი მეცნიერი და ექსპერტია, მე მთლიანად ვიზიარებ მის მოსაზრებას ფოთის ეკონომიკურ ზონასთან დაკავშირებით.

საქმეს მარტო ლამაზი სიტყვებით ვერ გააკეთებ. გასათვალისწინებელი და დასათვლელია ბევრი რამ. თუნდაც ის, რომ ფოთში „გადაიტუმბება" არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებული კაპიტალი, არამედ უცხოურიც.

მე ვერ მოვისმინე, თუ რა მექანიზმებით მოხდება იმ ეკონომიკური სიკეთის დანარჩენ საქართველოზე გადანაწილება, რომელსაც ფოთის ეკონომიკური ზონა მოგვცემს. მესმის, რომ ფოთში მცხოვრებნი 10-15 პროცენტით უკეთ უნდა ცხოვრობდნენ ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობაზე, მაგრამ არა მარტო 10-ჯერ და 15-ჯერ უკეთესად. და თუ ასე მოხდა, ეს აუცილებლად გამოიწვევს სამოქალაქო დაპირისპირებას, რასაც ხელს შეუწყობს, თავის დროზე მიღებული უგუნური გადაწყვეტილება, რომელიც ეხება კუთხეების მიხედვით ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას.

ეკონომიკურ ზონას, თუ იგი მეცნიერული სიღრმითაა დამუშავებული, ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია, ამ საკითხისადმი ზერელე მიდგომა კი ბევრ პრობლემას გაუჩენს ქვეყანას.

**— ბატონო ნაპოლეონ, რას აკეთებს დღეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია?!**

— პარლამენტში ორი მოსმენით გავიდა ჩვენი აკადემიის საკითხი, მესამე მოსმენისათვის კი დრო აღარ დარჩათ. გამაკვირვა ზოგიერთი უმეცარი პარლამენტარის კითხვამ: „რაში გვჭირდება ამდენი აკადემიკოსიო". ჯერ ერთი „ნაღდი" აკადემიკოსი ბევრი არ არის. მეორეც აკადემიკოსობა თანამდებობა არ არის, რომ როცა მოგესურვება, შეამცირო. მეცნიერი აკადემიკოსი თავისი შრომით ხდება და ამით ქვეყანამაც უნდა იამაყოს. იმედი მაქვს, რომ ახალ პარლამენტში უფრო გონიერი ადამიანები მოხვდებიან, რომლებიც ახლოს იქნებიან მეცნიერულ აზროვნებასთან და ჩვენი აკადემიის მესამე მოსმენის საკითხიც ერთ-ერთ პირველ სხდომაზე გადაწყდება.

XXI საუკუნე, ძირითადად მეცნიერთა ასპარეზია, და ყველა პრობლემას, უპირველესად მეცნიერებმა უნდა გასცენ პასუხი. ქართული სამეცნიერო სკოლა კი ჯერჯერობით ერთ-ერთი წარმატებულია მსოფლიოში, ამას ჩაწიხლვა კი არა, შენარჩუნება და განვითარება სჭირდება.

**— როგორია 21 მაისის არჩევნების თქვენეული პროგნოზი?**

— ძნელი კითხვაა, ჯერ ერთი, მთავარია, არჩევნები როგორ ჩატარდება, მეორეც, არიან კი დასახული პროგრამის შემსრულებლები? ეს ეხება ორივე მხარეს.

მთავარი კი მაინც ის არის, სამართლიანობამ იზეიმოს. თუ არჩევნები გაყალბდა, გასაგებია, რაც მოხდება, თუ არ გაყალბდა, კიდევ უფრო გასაგებია, რის მოსწრენიც გავხდებით.

ვფიქრობ, ხელისუფლებას ამჯერად მაინც უნდა ეყოს სიმახვილე და, თუკი მართლა ქვეყნის მომავალზე ფიქრობს, არავითარ შემთხვევაში გაყალბების გზას არ უნდა დაადგეს, რათა საზოგადოება ორად არ გაიხლიჩოს და ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს. თუ სამართლიანობას გზა ხელოვნურად გადაეკეტა, ტაძრამდე ვერასოდეს ვერ მივალთ. მე ყველაზე მეტად ეს მაფიქრებს.

მთავარი ის კი არ არის, რომელი პარტია გაიმარჯვებს, მთავარი ის არის, ხალხი არ დამარცხდეს. რადგან ხალხი თუ დამარცხდა, ყველანაირ გამარჯვებას აზრი ეკარგება. ხალხი კი მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის გამარჯვებასთან ერთად იმარჯვებს...

ჩარეცხილ აკადემიკოსს ელაპარაკა
ჩარეცხილი ჟურნალისტი

**გურამ გოგიაშვილი**

## ინფორმაცია

# როდის „დაგვაწინაურებენ" რუსეთელები?

**რუსეთის მოქალაქეებმა მათი ქვეყნის მიმართ ყველაზე მეგობრულად და მტრულად განწყობილი ქვეყნები დაასახელეს.**

**რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქეებმა მათი ქვეყნის მიმართ ყველაზე მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოდ ჩინეთი დაასახელეს (23%). რუსეთის მეგობართა სიაში მეორე ადგილზე გერმანიაა (17%), მესამეზე კი ბელორუსი (14%). მეოთხე ადგილზე რუსეთის მეგობართა შორის აშშ-ია.**

**აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოქალაქეების 25% აშშ-ს მათი ქვეყნის მიმართ ყველაზე არაკეთილგანწყობილ ქვეყნად ასახელებს. მეორე ადგილი „რუსეთის მტერთა" კატეგორიაში საქართველოს, მესამე კი უკრაინას უკავია.**

**გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მიმართ ასევე არაკეთილგანწყობილნი არიან დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და იაპონია.**

**ისევე, როგორც წელს, 2007 წლის გამოკითხვის მიხედვითაც საქართველო რუსეთის არამეგობარ ქვეყნებს შორის მეორე პოზიციაზე იყო.**

ჯი-ეიჩ-ენი

გაზი

# ბოდიში, ტარიფის გაძვირებით ერთხელ კიდევ შეგაწუხებთ!




***შე კაი ადამიანო, რა გაქვს საბოდიშო, პირველად ძვირდები თუ რა? მესმის, მთავრობამ მოიხადოს ბოდიში, თუმცა იმასაც აქვს საბუთი, თავი არ დაიმციროს — მთელ მსოფლიოში ძვირდება ენერგეტიკული რესურსები და საქართველო ვინ მიგდია, გლობალიზაციის მარშს ფეხი არ აუწყოსო. ჰოდა მივდივართ ასე მსოფლიო ცივილიზაციასთან ფეხიფეხგადაჭდობილნი, თუმცა იმ ქვეყნებს, რომლებთანაც პარტნიორული და ინვესტორული მეგობრობა გვაკავშირებს, ეკონომიკური და ყოფითი შესაძლებლობებით ფეხის ფრჩხილამდეც ვერ მივწვდებით. ერთადერთი, რაშიც არ ჩამოვრჩებით, ეს დენისა და გაზის ტარიფების უწყვეტი ზრდა გახლავთ, რასაც, ბუნებრივია, საკუთარ მთავრობასთან ერთად უცხოელ ინვესტორებსაც უნდა ვუმადლოდეთ.***

შეიძლება არ დამიჯეროთ და იმ უცხოელმა ინვესტორებმაც ჭიტლაყები ყარონ — ეს რას გვაბრალებენო, მაგრამ ფაქტებს სად გავექცევით. გავიხსენოთ თუნდაც „თელასის“ გასხვისების „ისტორიული“ ამბავი, რაშიც ხელისუფლებამ აუწონავი ოფლი ღვარა (არ ვიქნებით მართალნი, ეს ღვაწლი დავუკარგოთძ, იგი ხან ამერკელებს მიჰყიდა, ხან რუსებს იმ ანგარიშით, რომ ხალხისთვის გადასახადის ტვირთი შეემცირებინა და დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მიზანს მაინც „მიაღწია“ — ელექტროენერგიის საფასური 2,5 თეთრიდან 16 თეთრამდე გაზარდა!

ყოველივე ეს ხომ თავისით არ მოდის, რა თქმა უნდა, არც გაზისა და წყლის საფასურის ზრდა, რასაც ხელისუფლებამ უკანასკნელი ძალები შეალია. ეს ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად იგრძნეს საწარმოებმა, რომელთაც წლეულს მარტიდან გაზი საშუალოდ 50 პროცენტით გაუძვირდათ. არადა, მათ უკვე დაანგარიშებული და გათვლილი ჰქონდათ საგაისო ბიუჯეტი და ხარჯები შედარებით დაბალ ტარიფზე. ახლა ხარჯები გაეზარდათ და აღარ იციან, ზარალი რით აინაზღაურონ!

ამას ისე ვამბობ, მთავრობისა და მეწარმეთა დასაბნევად, თორემ ერთმაც მშვენივრად იცის თავის საქმე და მეორემაც. მეწარმეს ხარჯი რომ გაეზრდება, სად წაიღებს მას, თუ არა პროდუქციის თვითღირებულებისა და შესაბამისად მისი ფასის ზრდაში? ამას რა დიდი გამოძიება უნდა, პურის ფასი რომ სისტემატურად იზრდება, ხოლო წონა და ხარისხი მცირდება, განა ეს ამ წარმატებული პოლიტიკის შედეგი არ არის? მთავრობა, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც „მშრალად“ გამოდის, ამბობს, მე გაზის ფასი მოსახლეობას კი არა, მეწარმეს გავუძვირეო, მაგრამ საბოლოოდ ეს ყველაფერი ისევ და ისევ ხალხის გახვრეტილი ჯიბის ხარჯზე რომ გადადის, ამას ვითომ დიდი მიხვედრა უნდა?

არც იმას, რა თქმა უნდა, რომ ახლო მომავალში გაზის საფასურის მომატება, მთავრობის დაპირებების მიუხედავად, კიდევ ერთხელ (და არა უკანასკნელადძ გვემუქრება. ამის გარანტიას იძლევა ის მკაცრად გასაიდუმლოებული მოლაპარაკებები, რაც გაზის მომარაგებასთან დაკავშირებით პარტნიორ ქვეყნებთან იმართება. მეზობელმა აზერბაიჯანმა, მაგალითად, ოთხთვიანი პაუზის შემდეგ გაზის მოწოდება კი განაახლა, მაგრამ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რა ვადით და რა პირობებით გააფორმეს მხარეებმა ხელშეკრულება. ასევე უცნობია აზერბაიჯანული გაზის ფასი.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ურჩევნია, გაზის ტარიფთან დაკავშირებით, კომენტარი არ გააკეთოს და არც აკეთებს, მაგრამ რეალობას სად გაექცევა? ეს არ იტყვის, თავად აზერბაიჯანი ლაპარაკობს და აცხადებს, რომ წლეულს 1000 კუბმეტრი გაზის ღირებულება საქართველოსთვის 120 დოლარიდან 200 დოლარამდე გაიზრდება. ეს ჩვენთვის, თორემ აზერბაიჯანი თურქეთის შემდეგ გაზის გატანას თურმე საბერძნეთსა და იტალიაშიც აპირებს, თანაც რა ფასად არ იკითხავთ? ირანი, მაგალითად, რომელიც აზერბაიჯანული გაზის იმპორტის გაზრდას აპირებს, მზადაა მას ყოველ ათას კუბმეტრში 300 დოლარი გადაუხადოს.

კი მაგრამ, აზერბაიჯანულ გაზზე თუ ასეთი მოთხოვნაა, ჩვენ იაფად რატომ გვაძლევს? ეს უკვე ყიდვა-გაყიდვაში დიდად დასპეციალებულ ჩვენს მთავრობას უნდა ვკითხოთ, რომელიც თურმე დაბალი ტარიფის სანაცვლოდ აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარს“ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობას სთავაზობს. ამ მოლაპარაკების თანახმად, საქართველოს მთავრობა „სოკარს“ 33 რეგიონულ გაზგამანაწილებელ კომპანიას გადასცემს, რაშიც ის 10 მილიონ დოლარს გადაიხდის, თანაც ერთ ამდენს ქსელის რეაბილიტაციას მოახმარს. ამას რომ დაისაკუთრებს, „სოკარი“ საქართველოში გაზგამანაწილებელი ქსელების ყიდვას „იტერასა“ და „ვისოლისგანაც“ აპირებს, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ის ამ საქმის მონოპოლისტი გახდება.

ამით საქართველოს მთავრობა, თავის ჭკუით, ორ კურდღელს დაიჭერს. ჯერ ერთი, აზერბაიჯანული კომპანია თავადვე დაინტერესდება საკუთარი სადისტრიბუციო კომპანიებისთვის გაზის მიწოდებით, და მეორეც — საქართველოს მთავრობა გაზმომარაგების პრობლემას თავიდან მოიხსნის.

თუმცა, მთლად ასე იოლად ვერ დაიძვრენს თავს. საქმე ის გახლავთ, რომ აზერბაიჯანული პრესის მონაცემებით, ბაქოს წლეულს საქართველოსათვის 500 მილიონ კუბმეტრზე მეტი გაზის მოცემა არ შეუძლია, ეს კი საქართველოს წლიური მოხმარების მესამედიც არ არის (მას სრული გაზმომარაგებისათვის 1,8 მილიონი კუბმეტრი ესაჭიროებაძ. ამას, რა თქმა უნდა, დაემატება 300 მილიონი კუბმეტრი აირი შაჰდენიზიდან, ასევე ტრანსპორტირების საფასურად 200 მილიონი კუბმეტრი სომხეთიდან, მაგრამ დანარჩენის შევსებას საიდან აპირებს? სხვა გზა არა აქვს, ისევ და ისევ რუსეთს უნდა მიადგეს.

ჩვენდამი კეთილად განწყობილი დიდი მეზობელი, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, დახმარების ხელს არც ახლა დაგვამადლის. გასულ ზამთარს ის, მაგალითად, ქართულ საწარმოებს „ანგარიშს უწევდა“ და 1000 კუბმეტრ აირში მხოლოდ 280 დოლარს ახდევინებდა. ამჯერად რამდენის გადახდას დააკისრებს, დამოკიდებული იქნება იმაზე, ევროპულ ბაზარზე გაზის ტარიფი რა დონეზე აიწევს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მომავალ წელს, შესაძლოა, იქ გაზის საფასურმა 500 დოლარსაც კი მიაღწიოს (!ძ.

როგორ ფიქრობთ, რით დაიძვრენს თავს ამჯერად ხელისუფლება? ვერაფრით, საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია, რომელსაც აირი შემოაქვს, კერძო სამართლის იურიდიული პირია და უცხოეთის ბაზარზე ნაყიდ პროდუქციას აქ რამდენადაც მოესურვება, იმდენად გაყიდის. ასეთ დროს რას იზამს სემეკი, ნუთუ ისიც განგვიდგება? ერთადერთი, რის გაკეთებაც მას ძალუძს, ის გახლავთ, რომ შეუძლია ტრანზიტისთვის მიღებულ გაზის ტარიფში ჩაერიოს, რაც მთლიანი რესურსის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს.

რა გამოსავალი რჩება? მხოლოდ ერთი — გაზის ტარიფის მორიგი ზრდა, რასაც ჩვენი ლატაკი მოსახლეობის ჯიბე ვერაფრით ველარ გაუძლებს. ალბათ ვერც ეს ხელისუფლება, რომელიც პრობლემის გადაწყვეტას გაზის ტარიფთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გასაიდუმლოებით ცდილობს. რა ქნას, წინასაარჩევნო დღეებია და არ სურს მთავრობისადმი ხალხის უკმაყოფილების ტალღას კიდევ ერთი წვეთი დაამატოს. მაგრამ როდემდე შეინახავს ამ „საიდუმლოს“? ალბათ ზაფხულამდე, როცა ტარიფის მომატება მომხმარებლისათვის შედარებით ნაკლებად მტკივნეულია.

მაგრამ შეძლებს კი ტყუილებსა და პრობლემების მიჩუმათებაში გაწაფული ჩვენი ხელისუფლება ზაფხულამდე თავის გატანას? ძნელი სათქმელია.

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა დაიწყო

**ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინდღიდან საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა დაიწყო.**

**ცესკოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბიულეტენები ოთხ სტამბაში დაიბეჭდება, რომლებიც აღჭურვილია ოცდაოთხსაათიანი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით, შეღწევის საწინააღმდეგო სიგნალიზაციით და ოცდაოთხსაათიანი დაცვით.**

**ბეჭდვის პროცესს სპეციალური კომისია აკონტროლებს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან, ცესკოს ორი წევრი და არასამთავრობო ორგანიზაციების „სამართლიანი არჩევნები“ და „ახალი თაობა ახალი ინიციატივას“ წარმომადგენლები.**

## რას ერჩის ცესკო მეოთხე ხელისუფლებას?

**ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის 21 მაისის არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის „გაერთიანებული ოპოზიცია ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მიერ წარდგენილი პარტიული სიიდან პირადი განცხადების საფუძველზე ვლადიმერ ბოჟაძე მოხსნა.**

**ამასთან ცესკომ სხდომაზე დამკვირვებლის სტატუსით რეგისტრაციაში გაატარა კავშირი - „ეკონომიკურ დანაშაულთან კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის კავშირი“, ხოლო რეგისტრაციაზე უარი ეთქვა კავშირს — „მედია ცენტრი — IV ხელისუფლება“.**

**ასევე, 21 მაისის არჩევნებისთვის, განისაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიება და ვადები. ასევე დამტკიცდა ამომრჩეველთა სიის სამაგიდო და კედლის ფორმები.**

## მედიაცენტრის სამი ათასზე მეტი დამკვირვებელი

**საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობას სპეციალურად შექმნილი მედიაცენტრის სამი ათასზე მეტი დამკვირვებელი დააკვირდება, ითქვა გუშინ მედიაცენტრის პრეზენტაციაზე.**

**„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩენევისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ და „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“ წინასაარჩევნო, საარჩევნო და არჩევნების შემდეგ პროცესებში კოორდინაციის აუცილებლობაზე შეთანხმდნენ და სწორედ ამ მიზნით დააარსეს მედიაცენტრი.**

**მედიაცენტრის ხელმძღვანელები კონსულტაციებს გაუწევენ ამომრჩეველს საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით და მათთგან მიიღებენ ინფორმაციას შესაძლო დარღვევების შესახებ.**

**ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქვემო ქართლის რეგიონზე, ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის არჩევნების დროს ყველაზე სერიოზული დარღვევები სწორედ აღნიშნულ რეგიონში დაფიქსირდა.**

## „არ გვესროლოთ!“

**გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა საპატრულო პოლიციასთან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი საყვირებითა და შეძახილებით ბოლო წლების განმავლობაში საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ქმედებებს აპროტესტებდნენ. მათ პოლიციის შენობასთან დატოვეს სლოგანი — „არ გვესროლოთ“.**

**აქციის მთავარი მიზანია, ვუთხრათ პოლიციის თანამშრომლებს არ გვესროლონ. მათი მოვალეობაა დაიცვან თითოეული ჩვენგანის უფლებები თუმცა, სამწუხაროდ დღეს პატრული საკუთარი მიზანშეწონილობით ქუჩაში ხოცავს ახალგაზრდებს. მოვითხოვთ, დღევანდელი სამართალდამცავი უწყებები დარჩნენ მოწოდების სიმაღლეზე და უარი თქვან ძალადობასა და უკანონობაზე, — განაცხადა გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთმა ლიდერმა ლერი ლაფაჩმა.**

## მდუმარე აქცია — რუსეთის საელჩოსთან

**საქართველოში რუსეთის საელჩოსთან 21 წუთის განმავლობაში 21-მა ადამიანმა მდუმარე აქცია გამართა.**

**სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებს საქართველოში 21 კითხვა გაუგზავნეს. აქციის ორგანიზატორებმა კითხვები საელჩოს წარმომადგენელს გადასცეს.**

**კითხვები რუსეთსა და საქართველოს შორის გართულებულ ურთიერთობებს ეხება - რატომ ერევა რუსეთი საქართველოს საშინაო პოლიტიკაში და რატომ ცდილობს კონფლიქტურ ზონაში ურთიერთობის დაძაბვას.**

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЭЙЧ-ЭНИ

ყველას თავისი აზრი აქვს

# მისტიკა და სინამდვილე



**დღეს ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი გატაცებულია დასავლეთით, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი ზიარების მოტივით, მათთან მიერთების ლოზუნგით. ფანატიკურად სწამთ დასავლური წყობილების უცოდველობისა, მიაჩნიათ იგი სრულყოფილ საზოგადოებად, სადაც იდილიის სუფევაა. მასთან მიერთებაში ხედავენ ქვეყნის ხსნას, ერის გადარჩენას და ეროვნულობის შენარჩუნებას, ცხოვრების ახლებურად მოწყობას. მისი ფასეულობებია დღეს ჩვენთვის ეტალონი.**

წილი ნაყარია, არჩევანი მოხდა! დასავლეთი გვითრევს თავის ორბიტაში, ყველაფრის დამფქველ მანქანაში და თავს გვახვევს თავისი ცხოვრების წესს. თვით ჩვენც მივილტვით იქით შიშისა და ეჭვების გარეშე, დიდი რწმენითა და იმედით.

თითქოს სულიერი სისპეტაკე და უმანკო გულუბრყვილობაა! ნეტარ არიან მორწმუნენი. ვერაფერს იტყვი, უკეთილშობილესი ზრახვებია. ამიტომ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დასავლეთს მოვაწონოთ თავი, რათა მან თავისი ოჯახის წევრად მიგვიღოს.

სწორედ ესაა „ტვინის გალაყება“, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა. დარჩა ერთი იმედი – შევთხოვოთ ღმერთს ჩაცკის სიტყვებით:

„Чтоб истребил господь,
нечистый этот дух
Пустого, рабского,
слепого подражанья“

დასავლეთის მიერ რეკომენდებული ლიბერალური რეფორმები, რაც ჩვენში ხორციელდება, ხასიათდება სულიერი ძალადობით საზოგადოებაზე, უცხო ზნეობრივი სტერეოტიპების თავზე მოხვევით, კოლექტიური, არასაბაზრო მენტალიტეტის შეცვლით ინდივიდუალიზმისა და გამდიდრების იდეოლოგიით. „რეფორმების“ არსია „ახალი ფასეულობების“ დამკვიდრება და ეს კეთდება მოწოდებით „დეიდეოლოგიზაციის“, „მსოფლიო განვითარების კალაპოტში დაბრუნების“, ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევის, სამართლებრივი სახელმწიფოს აგების ლოზუნგებით.

ამასობაში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება მკვეთრად უარესდება, მისი წყობა ირღვევა. ამის მიზეზია წინააღმდეგობა ჩვენი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათსა და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს შორის. მიდის ფასეულობათა გადაფასება. ცხოვრების წესი იცვლება და ეს კატასტროფულ ზეგავლენას ახდენს ერზე. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს ქვეყნის სვლასთან სულ უფრო განაფული მეთოდებით ხალხის ფიზიკური, ზნეობრივი და სულიერი კვდომის გზით, რადგან აჩვევენ ფასეულობებს, რაც ტრადიციულად ჩვენში ზიზღს იწვევდა: უტიფრობას, გარყვნილებას, უხამსობასა და ინდივიდუალიზმს. ერთი სიტყვით, დღევანდელი განვითარების კურსი დამღუპველია ყველა ჩვენი სპეციფიკური ფასეულობისათვის: კულტურისათვის, სულიერებისათვის, ყველაფერ იმისათვის, რაც მხოლოდ ჩვენ გვაქვს, დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებით.

თავს გვახვევენ ცხოვრების ჩვენთვის უცხო ფილოსოფიას და იდეოლოგიას, ამერიკულ სტანდარტებს, იმას, თუ როგორ უნდა ჭამო, სვა, ჩაიცვა, დაიხურო, იფიქრო, გიყვარდეს, იცხოვრო და მოკვდე.

როგორია დასავლური ცხოვრების წესი, რომელიც ჩვენი საზოგადოების ნაწილში თავდაუჭერელ აღტაცებას იწვევს? დასავლური ცხოვრების წესი, განსაკუთრებით ამერიკული, შლის ეროვნულობას, ანიველირებს ყველას ცხოვრების წესს. აშშ არ არის ერი. მთელი დედამიწა ვერ მოთავსდება ამერიკული ცხოვრების წესში. კაცობრიობის ისტორიამ ამაოდ არ გამოიმუშავა კულტურათა მრავალფეროვნება.

აშშ-ის ცხოვრების წესი დედამიწის მცხოვრებთა უმრავლესობის მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და კულტურის საწინააღმდეგოა. აშშ-მა არ იცის და არც სურს გაიგოს სხვა ხალხთა ეროვნული თავისებურებები, ტრადიციები, კულტურა.

ამერიკული ცხოვრების წესი არ ცნობს ჩვენს არავითარ ტრადიციულ ფასეულობებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებს. იგი ეფუძნება ინდივიდუალიზმსა და პირად გამორჩენას.

აშშ-ს არ აინტერესებს ჩვენი არც ისტორია და ტრადიციები, არც კულტურა, არც შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე, არც ზაქარია ფალიაშვილი და ლადო გუდიაშვილი. მას არ აინტერესებს საერთოდ ჩვენი მოსახლეობის ბედი, არც ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობა, ჩვენი მეჩაიეობა და მეციტრუსეობა. მას აინტერესებს გაზსადენი და ნავთობსადენი მილები და რუსეთის გავლენის სფეროებში დამკვიდრება. მოსახლეობა – იმდენი, რამდენიც საჭიროა აღნიშნული მილების მომსახურებისათვის. დანარჩენნი თუნდაც მთლიანად ამოწყვეტილან, მას არ ადარდებს. ამის დამადასტურებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (იგულისხმეთ აშშ-ისძ რეკომენდაციებით ჩვენი ეკონომიკის „რეფორმირება“, რაც ფაქტობრივად გამოიხატა მის დანგრევაში, მოსახლეობის ოთხი მეხუთედის გაღატაკებასა და გენოციდში.

ასეთივეა აშშ-ის დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართაც და ამიტომ ამ ხალხების პროტესტს იწვევს. ამის შედეგია მსოფლიოში ანტიამერიკული განწყობილების ზრდა, რომლის გაგება ჩვენში ბევრს არ სურს.

აქ არაფერია შემთხვევითი და არც ისტორიულად კანონზომიერი. არის კონკრეტული ადამიანების სულიერი სიბრმავე და ინტელექტუალური უძლურება, ნატიფი სიბრიყვე, არაკომპეტენტურობა და არასერიოზულობა, მათი უუნარობა, გააკეთონ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე დასკვნები, თვალნათლივია აგრეთვე მათ მიერ ქვეყნის, ერის ინტერესების გამყიდველობა. მართლაც, რომ „პირი აქვთ და ვერ ლაპარაკობენ, თვალები აქვთ და ვერ ხედავენ. ყურები აქვთ და არ ესმით, ცხვირი აქვთ და ვერ ყნოსავენ“ (ფსალმუნნი, 113-114, 13-14ძ.

ისპობა ჩვენთვის დამახასიათებელი სულიერი ფასეულობები, კულტურა, განათლება, მეცნიერება. ეს ხდება ტელევიზიაში, რადიოში და საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოპკულტურის მოძალებით. ამერიკული ფილმების უმრავლესობა პროპაგანდას უწევს სისასტიკეს, სისხლისღვრას, პრიმიტიულობას, ამორალურობას, უხამსობას. ეროვნული პრიორიტეტებისა და ფასეულობების ნაცვლად ინერგება უცხო ფასეულობები.

მათთან „პიროვნების უფლებები“ აყვანილია უმაღლეს რანგში, რომელიც ნიმუშად, ეტალონად გაუხდია ჩვენი საზოგადოების ნაწილს (დამოუკიდებელი აზროვნების არც უნარი და არც მოთხოვნილება რომ არ გააჩნიაძ და მონურად თაყვანს სცემს მას, ესწრაფვის მათი წეს-ჩვეულებების ბრმად გადმოღებას, მასთან დაახლოებას, მის მიმსგავსებას და არ სურს დაინახოს, რომ ეს „ცივილიზებული დასავლეთი“, „კეთილდღეობის საზოგადოება“ თვით განიცდის კრიზისს, დგას გადაუჭრელი პრობლემების წინაშე და ხედავს თავის შეზღუდულობას. აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი თავის წიგნში „დედამიწა სასწორის პინაზე“ წერს, რომ ეკონომიკის გიგანტური განვითარების მიუხედავად, ამერიკის მოხმარების საზოგადოება (კაპიტალიზმიძ ჩიხში შევიდა. სამომხმარებლო ცივილიზაციას თანდათანობით მიჰყავს ჩვენი პლანეტა დაღუპვისაკენ. ზნეობრივი საწყისის დავიწყება, სულიერი კრიზისი ამერიკას დრამატული შედეგებით ემუქრება. ჩვენ უნდა გავიაზროთ, რა გველის ხვალ“.

აი, ასე. ჩვენ კი გვინდა ჩვენთან შევქმნათ აბსოლუტურად ზუსტად ის, რაც იქაა. სხვისი ცივილიზაციის ასლის გადმოღება აბსოლუტური სიზუსტით სრულიად შეუძლებელია და მით უფრო არ ღირს მიბაძვა მათი, ვინც თვით იწყებს ფიქრს თავის გადაუჭრელ პრობლემებზე და თავის შეზღუდულობაზე. ისინი, ვინც თავიანთთვის ბილიკს ეძებენ და ვერ უპოვიათ, ჩვენ გზას ვერ გვასწავლიან.

და რა გვიტაცებს მათი ფასეულობებიდან? ჰომოსექსუალიზმი, პორნოგრაფიის გავრცელება, ძარცვის, ბანდიტიზმის, ნარკომანიის აყვავება, საშინელებათა ფილმები, დამნაშავეობის, ძალადობის, მკვლელობების მოძალეობა და მათი აღწერილობა? ნუთუ ცხოვრების მთელი სიკეთე ისაა, რომ დასავლურად ჩავიცვათ და მაკდონალდსის ჰამბურგერები მივირთვათ? ნუთუ ხორციელი ტკბობა და გართობა ჩვენი ცხოვრების უპირველეს წესად გვინდა გავიხადოთ და ამიტომ ვამკვიდრებთ ფულის კულტს?

იკარგება მთავარი: ეროვნული იდეა, სიკეთე და სიმართლე, სულიერება, ტრადიციები, წმინდა ზრახვები, კეთილი სურვილები და საქციელი, პატრიარქალური დამოკიდებულება ჩვენ შორის. პიროვნების სრული სულიერი გამოფიტვა და გაუცხოებაა.

საზოგადოების უმცირესი ნაწილის მატერიალურის აღზევებას თან სდევს მათი ზნეობრივი დაცემა. აღარც მორალის ცენზორებია.

დავიწყებას ეძლევა ადამიანური, გონებრივი, სულიერი ცხოვრება და ადამიანი კმაყოფილდება მხოლოდ ცხოველური ცხოვრებით.

კვლავ დამონებულია გონება, გონიერება კვლავ უგუნურების მსხვერპლია. დამღუპველი მიმართულებით წარმატებით სვლის სადღეგრძელოს ვსვამთ. ჩვენს საკუთარ უბედურებასაც ვერ ვხედავთ. და კვლავ ილია: „არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვიცით – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად“.

ამრიგად, საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კიდევ ერთხელ აღმოჩნდა უფსკრულის პირას.

ჩვენი ტრაგედია ისაა, რომ როგორც წინათ, ახლაც ჩვენს მტერს ვერ ვხედავთ. „ჩვენი მტერი სიბრმავეა...“ ილია ჭავჭავაძის ეს ნათქვამი დღესაც ძალაშია. ამერიკული ცხოვრების წესი, რომელიც ასე ინტენსიურად ინერგება ჩვენში, მთლიანად წაშლის საქართველოს ეროვნულობას. ჩვენ კი ოცნებით ღრუბლებში ვნავარდობთ, კვლავ ეიფორიაში ვართ, არ გვინდა, დავეშვათ ცოდვილ მიწაზე, არ გვინდა, დავუბრუნდეთ რეალობას.

წყვდიადია დღისით-მზისით, დამაბრმავებელი წყვდიადი, ბნელეთის მეუფებაა. დავივიწყეთ შეგონება: „ეკრძალეთ ცრუწინასწარმეტყველთ, რომლებიც მოვლენ თქვენთან ცხვრების სამოსით, ხოლო შიგნით არიან მტაცებელი მგლები“ (მათე, 7, 15ძ.

მაგრამ ფანტასტიკური პარადოქსი ეს არის: **სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 17 წლის შემდეგაც, ჩვენს მენტალიტეტში, გონიერთა და მოაზროვნეთა მენტალიტეტშიც კი არსებობს ურწმუნობა საკუთარი თავისადმი, საკუთარი ძალებისადმი და რწმენა, რომ აუცილებლად უნდა ვიყოთ ვინმეს მფარველობის ქვეშ, რომელიც გვიშველის, დაგვეხმარება. და ეს საბუთდება იმით, რომ ჩვენ თურმე „ობოლი ერი“ ვართ. აქამდე რუსეთის მფარველობაში (მონობაში) ვიყავით, იგი დასუსტდა, აბა, ჩვენ რას დაგვეხმარება?! ამერიკაა მდიდარი, ახლა იგი გვეხმარება, მის მფარველობაში (მონობაში) უნდა ვიყოთ. მორჩა და გათავდა!** ასე დასტურდება ჩვენთან ს. მაილსის ნათქვამი: „ერი, რომელიც მონობის სულითაა გაჟღენთილი, ვერ ეღირსება ჭეშმარიტ თავისუფლებას ვერც ხელისუფლების და ვერც არსებული წყობილების შეცვლით“.

მე ულრმესი პატივისცემით ვარ გამსჭვალული იმ პიროვნების მიმართ, ვინც პირველად იხმარა გამოთქმა „ობოლი ერი“, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ ესაა აბსურდი. არც ერთი ერი არ არის ობოლი, რადგან ასეთი რამ შეუძლებელია საერთოდ. ჩვენ, უბრალოდ, ვერ გავთავისუფლდით მონის ფსიქოლოგიისაგან, მონობის, მორჩილების ყოვლისმომცველი ჰიპნოზისაგან. ჩვენზე მართლდება ლ. ვოვენარგის სიტყვები: „მონობას შეუძლია იქამდე დაამდაბლოს ადამიანები, რომ მის შეყვარებას იწყებენ“. რკინის ბორკილების ნაცვლად ჩვენ ნებაყოფლობით რომ ოქროში დაფერილი ბორკილები დავიდეთ, ეს თავისუფლება გვგონია! ჩვენ დავივიწყეთ სენეკას შეგონება: „არ არის იმაზე უფრო სამარცხვინო მონობა, ვიდრე ნებაყოფლობითი მონობაა“.

როდის დადგება ჭეშმარიტების მომენტი, როდის შევიგნებთ, რომ ვერავინ, – ვერც აღმოსავლეთი და დასავლეთი, ვერც ჩრდილოეთი და სამხრეთი ვერ გვიშველის, რადგან ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელშია. უნდა დავძლიოთ მორიგი ცრურწმენა, რომლის მსხვერპლიც ამჟამად ვართ, რადგან კვლავ იმედი გაგვიცრუვდება!

ამიტომ ვართ ამ ყოფაში და ვიქნებით კიდევ უარესში. ჩვენ თვითონ ვართ საკუთარი თავის მტერი. დროა გამოვფხიზლდეთ და გავიაზროთ, შევიგნოთ, ვინ ვართ, გავიგოთ რეალური მიზეზები ჩვენი დღევანდელი უბადრუკი ყოფისა, გავიგოთ ჭეშმარიტება და დავსახოთ სწორი გზა, გზა ტაძრისაკენ, გზა ჩვენი გადარჩენისა. ცამდე მართალია რ. ემერსონი: „ერი არ მოკვდება, თუ თავს არ მოიკლავს“. სალი აზრი დღეს ყველაზე მეტად საჭიროებს რეაბილიტაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გვეშველება, არ ეშველება საქართველოს!

**ვალერიან ადვაძე**

პიროვნება

# „არქიტექტურის პოეტიკის“ მესაძირკვლე

## სახიერება შოთა ბოსტანაშვილის ცხოვრების მიზანია

***შენც შოთა!** შენც უკვე სამოცისა ხარ! თითქოს გუშინ იყო, III კურსელი მოგიყვანა სტუდენტურ საპროექტო ბიუროში ახალგაზრდა ლექტორმა გიული გეგელიამ — კარგი ბიჭია, ჩარიცხეო. მიგიღე, აბა რას ვიზამდი, გიულის „კადრების შერჩევის“ უტყუარი ალღო ჰქონდა. ახლაც გაუმართლა. მას შემდეგ 40 წელი ერთად მოვდივართ, ჯერ როგორც სტუდენტი, შემდეგ თანაავტორები, კოლეგები, თანამოაზრეები, მეგობრები, უბრალოდ, ინტერესებითა და ყოველდღიურობითაც დაკავშირებული ადამიანები.*

დრო შეიცვალა, შეიცვალა არქიტექტურა, არქიტექტურული პროცესი, დრომ ადამიანურ და პროფესიულ ურთიერთობებსაც დაატყო თავისი კვალი. თვისობრივმა ცვლილებებმა შუა გზაზე მოგისწრო, როდესაც ინტერესთა სფერო, ცხოვრების წესი და რიტმი სრულიად გარკვეული გქონდა. სახიერება არის შენი ცხოვრების მიზანი. დღევანდელობა ებრძვის სახიერებას, უჭირს მრწამსის მქონე პიროვნებას, ყველაფერი მის წინააღმდეგაა მიმართული, დროს მოსწონს გლობალური უსახურება. ხმალამოღებული ვებრძოდით საბჭოს ტიპიზაციას, ის კი მსოფლიო ტენდენცია გახდა, ამისთვის კოლოსალური თანხები იხარჯება, ფული თანამედროვე მსოფლიოში უზომოდ ბევრია, იმდენად ბევრი, რომ წარმართავს არა მხოლოდ პოლიტიკას, არამედ ხელოვნებასაც, განსაკუთრებით კი არქიტექტურას. ძლევამოსილად გვიპყრობს ფართო მოხმარების არქიტექტურა. როგორ გრძნობს თავს ამ „მცოცავი“ არქიტექტურული ანექსიის პერიოდში ხუროთმოძღვარი შოთა ბოსტანაშვილი, საკმაოდ მაღალი პროფესიული რეიტინგით რომ შეხვდა ამ პროცესს? ჩემო შოთა, შენ არავისთან და არაფერთან არ ხარ მიბმული, შენი ინტერესების სფერო კვლავაც მრავალმხრივია, არ იქნება არქიტექტურული დაკვეთა, — აზროვნებას, კვლევას, „არქიტექტურის პოეტიკას“, ხომ ვერავინ დაგიშლის, ბოლო პერიოდის ლიტერატურულ ძიებებსაც დიდ დროს ანდომებ. ჰო, მართლა, გამახსენდა, წელს მხოლოდ 60 წლის იუბილე არ არის, არამედ შენი გახმაურებული პროექტის — „პილიგრიმები — მოხეტიალე ქალაქის“, რომელიც შენ შექმენი გემზე ახალგაზრდა არქიტექტორთა საერთაშორისო კრუიზი-კონკურსის დროს, გამარჯვების 20 წლისთავია. ასევე, 20 წლისაა შენი „პოეტიკის კლასი“, რომელიც ამ პრაგმატულ, ანგარიშიან ეპოქაში ახალგაზრდა არქიტექტორებს სულიერებას და სილამაზეს უნერგავს. დღევანდელმა „წერე და იკითხეს“ ტენდენციამ ბევრი ადამიანი გულგრილი, ანუ უსამშობლო გახადა, ქვეყნის უბრალო, ფიზიკურ ელემენტად აქცია, ადამიანად, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია. შენ კლავინდებურად და კიდევ უფრო მძაფრად განიცდი ყოველივეს, არქიტექტურულ ქაოსს და განუკითხაობას. შენ კვლავ რჩები: არქიტექტურაში — სახიერად, შენი არქიტექტურა ნიჭიერი ინტელექტუალის არქიტექტურაა. პედაგოგობაში— შენი ნასტუდენტარები სიამაყით ამბობენ შოთა ბოსტანაშვილის მოსწავლე ვარო. კაცობაში — უღალატო, ავ-კარგიანი, კაცი, რომელიც არასდროს შეირჩენს მისადმი გაღებულ მცირედ სიკეთესაც კი.



პოეზიის სასახლე თბილისში. ფრაგმენტი

**ვახტანგ დავითაია**
**10 მაისი, 2008 წ.**

***P. S. იმას**, რასაც ჩვენი ცნობილი არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია წერს, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავუმატოთ: პროფესორი შოთა ბოსტანაშვილი გარდა „არქიტექტურის პოეტიკის“ფუძემდებლისა, კარგა ხანია ფლობს ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური, პრინციპული, ნიჭიერი პუბლიცისტის სახელს. არქიტექტურის „დარგობრივი“ პუბლიცისტიკა მან ჭეშმარიტ პოეზიად აქცია. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სხვა პერიოდულ (აგრეთვე — სამეცნიერო!) გამოცემებში დაბეჭდილი შოთას კრიტიკული სტატიები, გამოკვლევები, სადისკუსიო წერილები...*

*დღეს საგამოფენო დარბაზ „უნივერსში“ (ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) შოთა ბოსტანაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნება. გამორჩეული, ინტელექტუალური, პოეტური ხუროთმოძღვრების მოყვარულებს დიდი სიამოვნება გველის...*

*გილოცავთ, ბატონო შოთა!*

***სპარტაკ ქობულია***

SIC!

***დღევანდელისათვის** საქართველოში ფსიქიკურად დაავადებულთა რაოდენობამ ოფიციალური მონაცემებით, 107 ათასს გადააჭარბა. თუმცა ფსიქიატრების განმარტებით, ეს რიცხვი რეალური არ არის: ავადმყოფთა რაოდენობა 3-ჯერ მეტია. ეს კი საქართველოს მოსახლეობის 4 პროცენტზე ოდნავ მეტია. არასამთავრობო ორგანიზაციების „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ და „საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის“ განმარტებით ქვეყნის ბიუჯეტიდან ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსებაზე 9,5 მილიონი ლარი იხარჯება. არადა, აცხადებენ ფსიქიატრები, ნორმალური, ფსიქიკური მკურნალობისთვის მინიმუმ 70-80 მილიონი ლარია საჭირო.*

# ფსიქიკურად დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება



მედიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ აუცილებლად გასაზრდელია საავადმყოფოების რაოდენობა, რადგანაც ბევრი პაციენტი, ვინც დღეს კლინიკებში ამბულატორულ მკურნალობას გადის, გადაუდებლად საჭიროებს სტაციონარულ რეჟიმზე გადაყვანას.

ექიმების გარდა, ფსიქიკურად დაავადებულების მხრიდან სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან სამართალდამცავებიც — მოსახლეობის ეს კატეგორია კიდევ უფრო ართულებს ისედაც უკიდურესობამდე დაძაბულ კრიმინოგენურ ვითარებას.

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სფეროში ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა გახდეს ფსიქიკურად დაავადებულთა სოციალური დაცვა და შრომით საქმიანობაში ჩაბმა. მათ ასევე გადაუდებელ ამოცანად მიაჩნიათ, ხელისუფლებამ გამოიყენოს ყველა საშუალება (იდეოლოგიური, რათა შეიცვალოს საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ამ დაავადებულებისადმი.

პრობლემას ართულებს ჩვენში გამჯდარი მენტალიტეტი — რა ჩემი საქმეა, ეს ის მომენტია, როდესაც მეზობლები ამჩნევენ შიზოიდურ გადახრებს, მაგრამ გაურბიან მის აფიშირებას. ასეთ შემთხვევაში, თუ რალაც მძიმე შედეგი არ დადგა, ყველა დუმს. არ არის აუცილებელი, შიზოიდურ პიროვნებას ჰქონდეს აგრესიის სისტემატური გამოვლენა. მიუხედავად ამისა, იგი საშიშია, როგორც გარშემო მყოფთათვის, ასევე ოჯახის წევრთათვის.

### დედამ და დეიდამ ბავშვი დასერეს

**სვანეთის უბანში მცხოვრები დების ანჟელა და ბელა არუთინოვების საეჭვო ფსიქიკურ მდგომარეობაზე მეზობლები მხოლოდ მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ალაპარაკდნენ.** დები, მამასთან და ქმარგაშორებულ ანჟელას 13 წლის გოგოსთან ერთად ცხოვრობდნენ, მეზობლების განმარტებით დებს მათთან ცუდი ურთიერთობები არ ჰქონიათ, მაგრამ მათი სახლიდან ხშირად გამოდიოდა წივილ-კივილის ხმა. ანჟელა და ბელა ერთმანეთში ჩხუბობდნენ. ისინი ხშირად ხედავდნენ, როგორც სცემდა დედა შვილს შუა ქუჩაში.

ერთ დღეს ნათია ავად გახდა. მაღალი სიცხე მისცა. ბაბუა ნათესავის მოსაყვანად წავიდა. მოსულმა დებს ბავშვის ძმრით დაზელვა შესთავაზა. არუთინოვებმა ამ ქალს ბავშვის მკვლელობის მცდელობაში დასდეს ბრალი და უთხრეს „ჩვენ თვითონ მოვკლავთ, რისთვის უნდა იწვალოსო“ და ქალი სახლიდან გააგდეს.

ნათესავს არ მოეწონა დების აგრესიულობა. იგი ცოტა ხანში უკან მობრუნდა. მას კარებს არ უღებდნენ. ოთახიდან კი არაადამიანური კივილის ხმა გამოდიოდა. ზინამ კარი შეამტვრია და უსაშინლესი სურათის მოწმე გახდა. 13 წლის გოგონა ლოგინში, სისხლში ცურავდა. ბელა ძირს ეგდო. ორივე ხელზე სისხლძარღვები გადახსნილი ჰქონდა. იგი სისხლისგან იცლებოდა. მოსულმა სასწრაფო გამოიძახა. ამ დროს ანჟელამ რაღაც საგანს დაავლო ხელი და ყელში გამოისვა.

გამოძახებაზე მისულ ექიმებს ბელა უკვე გარდაცვლილი დახვდათ. დედა-შვილი საავადმყოფოში წაიყვანეს. ანჟელას გადარჩენა ვერ მოხერხდა. ბავშვს ტანზე 100-ზე მეტი „ბრიტვით“ მიყენებული ჭრილობა აღენიშნებოდა. ბავშვის გადარჩენა მოხერხდა. მისი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. 13 წლის მოზარდის ბედს სახელმწიფო გადაწყვეტს. სავარაუდოდ, მას რომელიმე ბავშვთა სახლში მიაბარებენ.

### როდესაც ოჯახი ხელმოკლეა

**ფსიქიკურად დაავადებულებზე შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისაგან ხშირად თავს მათი ოჯახების წევრებიც იკავებენ. მოტივი ერთია — რას იტყვის ხალხი.** თუმცა ჯანდაცვისა და შს სამინისტროებისათვის — შეტყობინებითაც არ შეიცვლება ბევრი რამ. სამართალდამცავები (უბნის ინსპექტორებიძ ამ პრობლემებით აღარ ინტერესდებიან. ერთი, რაც მათ შეუძლიათ გააკეთონ აგრესიის გამოვლენის შემთხვევაში, შეურაცხადის საავადმყოფოში გადაყვანაა. მაგრამ დღეს ყველაფერი ფასიანია. იგივე ითქმის საუბნო პოლიკლინიკიდან გამოძახებულ ექიმებზეც. მისი მომსახურებაც კი ფასიანია.

ბევრ ოჯახს აქვს თავისი წევრის მკურნალობის სურვილი, მაგრამ არა აქვს შესაძლებლობა. შედარებით შეძლებულებსაც ექმნებათ პრობლემები. ფსიქიატრიულებში ადგილები შეზღუდულია. მათ, ვისაც ხანგრძლივი მკურნალობის კურსი უნდა ჩაუტარდეთ, პერიოდულს უტარებენ, რადგანაც სამკურნალო კონტინგენტი გაცილებით დიდია, საწოლები კი — ცოტა.

სიღნაღელები, მამა-შვილი ავთანდილ და ვახტანგ ბიძინაშვილები თანასოფლელს ბადრი ტურაშვილს ესტუმრნენ. უფროს ბიძინაშვილსა და მასპინძელს შორის შელაპარაკება მოხდა და სტუმარმა ტურაშვილი ხელში დაჭრა. მაგრამ იგი არ დაუკავებიათ, ფსიქიკურად შეურაცხადია. აგრესიული ავადმყოფი შეუზღუდავად გადაადგილდებოდა რაიონისა და რეგიონის ფარგლებში. მასზე არ დაწესებულა არც სამკურნალო და არც სამართალდამცავთა კონტროლი. ამის შემდეგ ცოტა ხანში ტრაგედია დატრიალდა. რაიონის სასადილოში დანის დარტყმით ორი თანასოფლელი მოკლა. იგი დააკავეს და ფოთის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იხდის სასჯელს. როგორც ექიმები აცხადებენ, ბიძინაშვილი ადრეც იყო ამ საავადმყოფოს სტუმარი, მაგრამ სტაციონარული მკურნალობის სრული კურსი არ გაუვლია — მიზეზი საწოლების უკმარისობა და სამკურნალოთა დიდი რიგი იყო.

ასეთ ვითარებაში, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იგეგმება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებისა და საავადმყოფოებში საწოლების შემცირება. ამ შემთხვევაშიც ხელისუფლება არად დაგიდევს პროფესიონალთა შეშფოთებას პრობლემის გამწვავების გამო.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**როგორი იყო ვლადიმერ პუტინის უკანასკნელი მნიშვნელოვანი ნაბიჯი პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს? მან კავკასია დააყენა ახალი ომის ზღურბლზე. და შეიძლება, მისი პირველი ნაბიჯი პრემიერ-მინისტრის რანგში — მან ეს თანამდებობა მიიღო ორი დღის წინათ, სახელმწიფოს მეთაურად კი თავისი პროტეჟე დასვა — იყოს ამ ზღურბლის გადალახვა.**

# საქართველო საფრთხეში



უკანასკნელ პერიოდში რუსეთმა გაააქტიურა თავისი მცდელობანი საქართველოში პროდასავლური რეჟიმის დასამხობად. მისი სტრატეგიაა დათესოს გაუგებრობა ამ ქვეყნის ორ სეპარატისტულ რეგიონში. გასულ თვეში პუტინმა გამოსცა ბრძანებულება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ოფიციალურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ. სინამდვილეში მოსკოვი არსებითად განაგებს ორივე რესპუბლიკას და პუტინის ბრძანებულება იყო დიდი ნაბიჯი მათი რუსეთის შემადგენლობაში ჩართვის გზაზე.

ორი კვირის წინათ რუსეთმა აფხაზეთში გაგზავნა სამხედრო ნაწილები შეიარაღებით, რათა, მოსკოვის შეფასებით, თითქმის 3-ათასიანი „სამშვიდობო“ კონტინგენტი შეავსოს ახალი ძალებით. რუსეთის ჯარისკაცები ამ ზღვისპირა რეგიონში იმყოფებიან 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში, კრემლის „დახმარებით“, გაჩაღდა სამოქალაქო ომი. გასულ თვეში რუსეთის თვითმფრინავმა აფხაზეთის საჰაერო სივრცეში ჩამოაგდო საქართველოს მზვერავი უპილოტო საფრენი აპარატი. ამ დროს აფხაზეთის ჯარები მობილიზებული იყვნენ კოდორის ხეობასთან, რომელიც დღეს თბილისის კონტროლის ქვეშაა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დაიმუქრა, რომ აფხაზეთში გაგზავნიდა ახალ შევსებას, რომ საქართველო ქმნის საფრთხეს, როცა ამ რაიონში თავს უყრის ჯარებს — ამ ბრალდებას უარყოფს ბევრი, მათ შორის, გაერო.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ახლა უწევს აწონ-დაწონოს თავისი შესაძლებლობანი „ძალოვანი ვარიანტის“ შემთხვევაში რუსეთის მტრული მოქმედების წინააღმდეგ, საქართველოს ტერიტორიის ანექსიის, და შეიძლება აფხაზის ჯარების შესაძლო მხარდაჭერის მიზნით. მაგრამ მან ამავე დროს უნდა გამოავლინოს სიფრთხილე, რათა არ მოხვდეს ხაფანგში, რუსეთმა რომ დაუგო. თუ სააკაშვილისათვის, რომელიც გამოირჩევა თავისი ტემპერამენტით და უფრო მშვიდ დროში შესძლო თავიდან აეცილებინა სამხედრო კონფლიქტი, ამჯერად ეს იქნებოდა შეუძლებელი, კრემლისთვის, პირიქით, — ეს გახდებოდა საუკეთესო ვარიანტი. აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების განახლებით რუსეთი მოგებული რჩება ნებისმიერ სიტუაციაში. პირდაპირი შეჯახების შემთხვევაში მას აქვს დამთრგუნავი სამხედრო უპირატესობა ქართულ არმიაზე. ამას გარდა, თბილისს არ შეუძლია, იმედი იქონიოს მხარდაჭერაზე—სიტყვიერზეც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მოქმედებაზე ევროპის მხრიდან. დაბოლოს, ნებისმიერი „ცხელი“ კონფლიქტი ამცირებს მის შანსს, ადრე თუ გვიან, გახდეს ნატოს წევრი და დაიკავოს ადგილი დასავლეთის დემოკრატიის რიგებში. განტოლების შემადგენელი ნაწილები იცვლება, თუ აფხაზები პირველები მიაყენებენ დარტყმას კოდორის ხეობაში. ამ მოქმედებებში აშკარად გამოიკვეთება მოსკოვის ხელი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას მოუწევთ გადასინჯონ თავიანთი დამოკიდებულება რუსეთის ახალგაზრდა პრეზიდენტთან დმიტრი მედვედევთან, რომელიც მიაჩნიათ უფრო კეთილგანწყობილებად და რბილ პოლიტიკოსად პრემიერ-მინისტრ პუტინთან შედარებით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსები ათვითცნობიერებენ ამ რისკების რეალობას იმ შემთხვევაში, თუ მოახდენენ საქართველოში ომის პროვოცირებას. ამ კვირაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სტივენ ჰედლიმ განაცხადა: მოსკოვმა უნდა „გადადგას ნაბიჯი უკან“. დასავლეთს შეუძლია მიიღოს რაიმე უფრო დიდი გადაწყვეტილება. საქართველოს ოფიციალური უსაფრთხოების გარანტიას არ აძლევს ნატო, მაგრამ მას შეუძლია განაცხადოს, რომ განზე არ დარჩება, თუ რუსეთი დაესხმება საქართველოს — პირდაპირ ან აფხაზების ხელით. ამერიკას კი შეეძლო გაეზარდა თავისი მისია საქართველოში სამხედრო მრჩევლების სახით.

თავად მოსკოვი და მისთვის ზოგიერთი „სასარგებლო სულელი“ დასავლეთში ამტკიცებს: ლეგიტიმური საფუძველი იმისათვის, რომ წაართვას საქართველოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რუსეთს მისცა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, რომელიც ათასობით კილომეტრითაა დაშორებული კავკასიიდან. თანაც ისე წარმოგვიდგენს საქმეს, თითქოს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მისი რეალური მიზანი რეგიონში არ ყოფილიყოს თბილისში რეჟიმის შეცვლა. და თითქოს პუტინს არ ეგრძნობინებინოს თავისი განზრახვა, აღადგინოს რუსეთის „გავლენის სფერო“ კავკასიის მდიდარ რეგიონებში ენერგომომცველებით.

ნაპერწკალი, რომელმაც გააჩაღა რუსეთის აგრესია, გახდა არა კოსოვოს დამოუკიდებლობა, არამედ მოვლენები ბუქარესტში. ნატოს აპრილის სამიტზე რუმინეთის დედაქალაქში გერმანიამ დაბლოკა უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრების გეგმის მიღების იდეა. ბერლინმა არჩია, არ გაეხსნა ამ ორი დემოკრატიული ქვეყნისათვის ნატოში შესვლის ხანგრძლივი გზა, არამედ შეენარჩუნებინა კარგი ურთიერთობა მოსკოვთან. საქართველომ და უკრაინამ მიიღეს მხოლოდ ბუნდოვანი დაპირება: ოდესმე მათ შეეძლებათ, შევიდნენ ალიანსში, მათი განაცხადები კი მაპის მიღებაზე განიხილება დეკემბერში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატომ თავად თქვა უარი, მიელო მონაწილეობა მათს ბედში.

კრემლი შესანიშნავად ხედავს დასავლეთის გადამჭრელ მოქმედებას. სულ რამდენიმე დღის შემდეგ ბუქარესტის სამიტიდან მან დაიწყო საქართველოზე ზეწოლა. და თუ ახლა რუსეთი მიაღწევს თავისას, ესე იგი, — თქვენ „ჩვენი ნაწილი ხართ“, მოგწონთ ეს თქვენ თუ არა, — იგი შეეცდება, დაარწმუნოს უფრო დიდი ქვეყანა უკრაინაც ამაში. ზბიგნევ ბჟეზინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც უკრაინა მოსკოვის ბანაკში აღმოჩნდება, რუსეთი შეიძლება გახდეს კვლავ იმპერია.

და პირიქითაც: ხოლო თუ იმპერიად ვერ გადაიქცევა, რუსეთს შეუძლია გახდეს დემოკრატიული ქვეყანა და მსოფლიო თანამეგობრობის „კეთილსინდისიერი“ წევრი, რეგიონში კი შეიძლება დამყარდეს მშვიდობა და თავისუფლება. საქართველოში ფსონია დადებული, რათა ამერიკის შეერთებული შტატების 17-წლიანი მცდელობის შედეგები, რომელთა მიზანია ევრაზიაში სწორედ ასეთი შედეგების მიღწევა, რეალიზებული იქნეს ბოლომდე.

THE WALL STREET JOURNAL

# თბილისი ცდილობს, შეშინდეს

**საქართველო კვლავ დაბეჯითებით ადასტურებს რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდის უკანონობას აფხაზეთში, სადაც, საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, კონტინგენტს ცვლიან მედესანტეებითა და კაზაკებით. თბილისი სამშვიდობო თანამეგობრობისაგან მთლიანად და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მოითხოვს, შეიცვალოს კონფლიქტის ზონაში მთელი სამშვიდობო ფორმატი. ვაშინგტონი თითქმის თანახმაა.**




თბილისს ეშინია თავდასხმისა რუსეთის მხრიდან. როგორც საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, აფხაზეთში სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდა — პირდაპირი დადასტურებაა აგრესიისა, რომელიც მის წინააღმდეგ მზადდება. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, კოდორის ხეობისაკენ გადაჰყავთ მედესანტეების ქვედანაყოფები, აფხაზ რეზერვისტებს კი ცვლიან კაზაკები. ამავე დროს სამხედრო ხელმძღვანელობა მთლიანად რუსეთის მაღალი თანამდებობის ოფიცრებს უკავიათ, რომლებიც სოხუმში კვირას ჩამოვიდნენ.

„სამშვიდობო მანდატი ისეა გაანგარიშებული, რომ რუსეთის მხრიდან მასში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მოტორიზებულ ჯარის ნაწილებს“.

ადრე თბილისმა უკვე გამოთქვა თავისი უკმაყოფილება მოსკოვის განზრახვის გამო, გაზარდოს სამშვიდობო კონტინგენტი აფხაზეთში კოდორში საქართველოს სამხედრო ნაწილების გაზრდის ანალოგის პასუხად. როგორც ამ დღეებში საქართველოს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სამინისტროს რუსეთის საკითხების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იოსებ ჩახვაშვილმა განაცხადა, რუსეთი თავისი მოქმედებით მთლიანად არღვევს სამშვიდობო მანდატს, გადადის არალეგალურ სამხედრო ყოფნაზე უღიარებელ რესპუბლიკაში. ჩახვაშვილის მტკიცებით, სულ მცირე, რუსეთის სამხედროებისაგან უნდა ველოდოთ მინიმუმ პროვოკაციებს მაინც, როგორც მაქსიმუმი კი — შეიძლება იყოს ნამდვილი ომი.

ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური ვერსიების თანახმად, საქართველო არ ამბობს უარს მცდელობისაგან, დაიცვას თავი არასასურველი მეზობლებისაგან, ჩივის საერთაშორისო ორგანიზაციებში და თავის მთავარ მცველთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

თბილისის მორიგი თხოვნაა, დაიცვან იგი მოსკოვისაგან, განაცხადა ვაშინგტონში მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც კვლავ შეეცადა დაერწმუნებინა ყველა, რომ რუსეთს არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებაში.

„მე დავაფიქსირე საქართველოს პოზიცია იმის შესახებ, რომ უნდა დაბრუნდეს სტატუს-კვო რუსეთთან დაკავშირებით საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში და გაუქმდეს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება ამ რეგიონებთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარების შესახებ, აგრეთვე გამოიყვანონ აფხაზეთიდან დამატებითი კონტინგენტი“, — განაცხადა მან შეხვედრის დასასრულს.

იულია მალიშევა

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მოლაპარაკებები დიალოგისთვის




**გასულ უქმე დღეებში ამერიკელ დიპლომატთა ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის მეთიუ ბრაიზას მეთაურობით იმყოფებოდა აფხაზეთში. სოხუმში ბრაიზამ აფხაზეთის ულიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ბაღაფშთან და სერგეი შამბასთან ერთად განიხილა საქართველოსთან პირდაპირი სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობა. ამერიკელები იყვნენ გალის რაიონშიც, სადაც შეძლეს გასაუბრებოდნენ ქართველ დევნილებს, რომლებიც დაბრუნდნენ აფხაზეთში თბილისის მიერ კონტროლირებადი რაიონებიდან.**

სოხუმში ვიზიტის წინა დღეს მეთიუ ბრაიზამ მოუწოდა რუსეთს, ხელი შეუწყოს იმას, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ განიხილოს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივები. მაგრამ ამავე დროს მან გააკრიტიკა მოსკოვი აფხაზეთთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა და ამ რეგიონში სამხედრო კონტინგენტის გაზრდის გამო. მაღალი რანგის ამერიკელმა დიპლომატმა აგრეთვე შეაქო საქართველოს ხელისუფლება „განსაკუთრებული თავშეკავებულობისათვის“ იმ პროვოკაციული ნაბიჯების გამო, „რომლებიც გადაიდგა უკანასკნელი კვირების მანძილზე რუსეთის მხრიდან“. ბრაიზას აზრით, ქართულ-აფხაზური პრობლემების გადაჭრის ერთადერთი გზაა პირდაპირი სამშვიდობო მოლაპარაკება. მისი შეფასებით, ამჟამად აფხაზეთში პოლიტიკური და სამხედრო სიტუაცია მეტად დაძაბულია, თუმცა კონფლიქტის გადაწყვეტის სამხედრო გზები არ არსებობს. „შეიძლება, მე ვცდებოდე, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოსკოვში არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ამ კონფლიქტის გაღრმავება. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ მოსკოვთან ერთად სოხუმი და თბილისი მონახავენ კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის მოხსნის საერთო გზებს“, — განაცხადა მან ერთ-ერთი ქართული ტელეარხის ეთერში.

ამერიკის დელეგაციის შეხვედრები აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან დახურულ კარს მიღმა გაიმართა. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას სიტყვებით, ცნობილია, რომ „ამერიკის დელეგაციის წევრები რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეხვედრაზე არ საუბრობდნენ რაიმე მკაცრ მოთხოვნებზე და რეკომენდაციებზე, რასაც აფხაზეთის მხარე შეიძლება არ დაეთანხმოს. ჩვენ ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ არის შესაძლებლობა, მოინახოს რთული სიტუაციის შემსუბუქების გზები. ვფიქრობ, ასეთი მიდგომის დროს, ჩვენ შეგვიძლია გამოვიდეთ ამ კრიზისიდან“. იტყობინებიან აგრეთვე, რომ აფხაზეთის მეთაურმა სერგეი ბაღაფშმა აგრძნობინა ამერიკელებს: თბილისთან მოლაპარაკებისათვის ის მზად იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კოდორის ხეობიდან გაყვანილი იქნება ქართული ჯარები.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი პოზიტიურად აღიქვამს ამერიკულ-აფხაზური კონტაქტების თავად ფაქტს: „იმედი მაქვს, რომ ჩვენი მეგობრები დაარწმუნებენ აფხაზებს ჩვენთან დიალოგის აუცილებლობაში“. მაგრამ თბილისის საექსპერტო თანამეგობრობა ამ მოვლენას ფრთხილად შეხვდა. „ჩვენ ახლა ვემზადებით არჩევნებისათვის. ცხადია, რომ ბრაიზა გაემგზავრა აფხაზეთში სააკაშვილის თხოვნით, რათა დაანახოს ქართველ ამომრჩეველს თავისი პოლიტიკის ეფექტიანობა. მაგრამ აფხაზებს არ უყვართ ამერიკული პოლიტიკა, არ უყვართ ამერიკელები და ძნელად რომ ბრაიზას შეეძლოს, დაარწმუნოს ისინი განიხილონ სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივები. შედეგი არაფერი არ იქნება. ეს იქნება მხოლოდ მუშაობა ამომრჩევლებზე“, — განაცხადა ცნობილმა პოლიტოლოგმა, საქართველოს ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის წევრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# ვის მხარეს ვართ?

**საქართველო, რომელსაც ემუქრება ნაწილობრივი ოკუპაცია რუსეთის მხრიდან, გადაიქცა დასავლეთისათვის მორალურ მეხამრიდად. მეოცე საუკუნის ისტორიის ყველა დემონი კვლავ ამოვიდა დასავლეთის ინტერესების წყალსაცავიდან ამ მღელვარე ფორპოსტში.**

თუ დასავლეთის ქვეყნები დროულად არ ჩაერთვებიან ამ საქმეში, არსებობს იმის საშიშროება, რომ ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებთან დაიწყოს მცირე ომი. იგი იქნება სისხლისმღვრელი. იგი გააუარესებს ურთიერთობას რუსეთთან და ზიანს მიაყენებს დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებს. იგი გათიშავს ევროკავშირის მშვიდ ძველ წევრებსა და ახალ ნერვიულ წევრებს, რომლებიც რუსეთის საზღვართან მდებარეობენ. კავკასიისა და კასპიის გაღმა რეგიონის ქვეყნები იმედოვნებენ, რომ დაამყარებენ სტრატეგიულ კავშირებს დასავლეთთან.

თითქოსდა, ასეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები უნდა გვაიძულებდეს უკეთესი მოქმედებისათვის. მაგრამ არსებობს კიდევ სხვა რამეც. თუ საქმეს თვითდინებაზე მივუშვებთ, ჩავაქრობთ ჩვენს დასავლურ ღირებულებათა ნაპერწკალს დედამიწის ამ ნაწილში, რასაც ჩვენ ხშირად ადვილად ვტოვებთ უყურადღებოდ.

როდესაც ვფიქრობ ჩვენს ღირებულებებზე, წარმომიდგენია არა მათი მომსახურე ბიუროკრატიული სტრუქტურები — ნატო და ევროკავშირი. მე მხედველობაში მაქვს უბრალო იდეა: ჩვენ მათთან ვართ, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის და გვბაძავს ჩვენ. ამასთან ჩვენ დიდსულოვნები ვართ, იმიტომ, რომ თავიანთ ბრძოლაში ისინი უსათუოდ უშვებენ შეცდომებს. ეს არის ჩვენი მორალური კრიზისი. ჩვენ ვამაყობთ ჩვენს ქვეყნებში დემოკრატიითა და ლიბერალური ეკონომიკით. ჩვენ მათ შესახებ ვლაპარაკობთ მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატები აშინებენ მსოფლიოს მისიონური თვითრწმენით. ევროკავშირი მოითხოვს „ფასეულობებსა და მეთოდებს“ რევიზორული სიმკაცრით. მაგრამ მთელი პროექტი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, რადგან ჩვენ მივისწრაფვით საფარისაკენ, ვიმალებით ფარდის მიღმა რეალიზმის სახელით. ამით ჩვენ ვაუფასურებთ ჭეშმარიტ რეალიზმსა და ჩირქს ვცხებთ ჩვენს ღირებულებებს.

დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენები ნაწილობრივ გვაგონებენ 1938 წლის სუეცის კრიზისს. მაშინ „ინტერესები“ მოქმედებაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა; ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი ზნეობრივი შეცდომების რაციონალიზაცია.

დღეს, უკვე სხვა დეკორაციების თანხლებით, უნდა მოვნახოთ კომპრომისის გზები აღორძინებად რუსეთთან — ეს ჩვენთვის მართლაც აუცილებელია, — თუ ჩვენ მხოლოდ უფრო დიდი მიზნები გვაქვს, ვიდრე მავნე სტრატეგიული პოლიტიკა, თუ ჩვენ გვიღალატებს საკუთარი მორალური რწმენა, დავთესავთ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზმის დაშლის თესლს. აი, რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველო.

უკანასკნელი კვირების მანძილზე მოსკოვმა განახორციელა მთელი რიგი სამხედრო და იურიდიული ღონისძიებანი, რომლებიც ეკვივალენტურია აფხაზეთის თანდათანობით ოკუპაციასთან.

რუსეთი ამბობს, რომ იცავს თავის მოქალაქეებს. მაგრამ ეს მოჩვენებითი დიასპორაა, რომელიც შექმნა მოსკოვმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აფხაზეთის მცხოვრებლებისათვის რუსეთის პასპორტების უკანონო გადაცემის გზით. ეს „უფლებათა დაცვის“ დაცინვაა.

რუსეთმა გააძლიერა აგრეთვე თავისი სამხედრო ყოფნა აფხაზეთში ყველა წინანდელი შეთანხმების დარღვევით. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ ოკუპაციასთან პარალელი გასაოცარია. ჩვენთვის, პატარა ქვეყნების მცხოვრებთათვის, ეს საშინელი სამხედრო ძალებისა და ეთნიკური მანიპულაციების გათანაბრებაა, რასაც დამამცირებლად აღიქვამს დასავლეთი და მეორდება საქართველოში.

საქართველო არაერთგზის ცდილობდა მიეპყრო საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება. პასუხად კი მიიღეს თბილცივი დიპლომატიური ჟარგონი და მოწოდებანი თავშეკავებისაკენ. თავშეკავებისაკენ ეს მოწოდებანი მოსკოვმა გამოიყენა, როგორც ევფემიზმი განურჩევლობის გამოსახატავად. ამ დროს საქართველომ წამოაყენა წინადადებანი, რაც შეიძლება გახდეს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ბაზად, როდესაც შესთავაზა ამბოხებულ რესპუბლიკას განსაკუთრებული კონსტიტუციური და ეკონომიკური უფლებები საქართველოს შემადგენლობაში. მოსკოვმა ამ წინადადებებს იგნორირება გაუკეთა, უარყო ისინი აფხაზეთმაც, სერიოზულად არ მიიჩნიეს ისინი დასავლეთის ხელისუფლებმაც.

შედეგად — საშინაო ტერიტორიული დავა გადაიზარდა გადაუჭრელ კონფლიქტში ძალიან დიდ სახელმწიფოსა და მის პატარა მეზობელს შორის.

ჩვენ უნდა დავიხიოთ უკან უფსკრულიდან. ახლა აუცილებელია სერიოზული დიპლომატიური მცდელობანი. გაეროს მიერ შექმნილი მოლაპარაკების სტერილური ფორმატი, რომელშიც რუსეთი უკვე აღარ არის დაუინტერესებელი ქვეყანა, არამედ აქვს ვეტოს უფლება, მხოლოდ აჭიანურებს დაძაბულობას.

ევროკავშირმა უნდა გადასინჯოს საკითხი იმის შესახებ, ირღვევა თუ არა სავიზო რეჟიმი მოსკოვის მიერ აფხაზეთში პასპორტების გადაცემასთან დაკავშირებით. საჭიროა დაიწყოს ნამდვილი მოლაპარაკება საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთის ლიდერებს შორის.

მე მრცხვენოდა, როცა ვისმენდი, თუ ევროპის ბევრი დედაქალაქი როგორ განმარტავდა, თუ რატომ არ უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება საქართველოს განგაშის სიგნალებს. ვის სჭირდება ეს ყველაფერი? რატომ არ უნდა მოილაპარაკონ და გადასცენ ამბოხებულ რეგიონებს თავისი ტერიტორია? ძალიან ემოციურები ხომ არ არიან ქართველები? თუ ეს მხოლოდ ყალბი განგაშია?

ყველაზე ბოროტი ვარიანტი კი ასე ჟღერს: ჩვენ არ შეგვიძლია მივცეთ თავს უფლება, რომ რუსები გავაღიზიანოთ. ან: ქართველებმა ჯერ კიდევ უნდა სრულყონ თავიანთი დემოკრატია, რათა მათ გამო რისკის ქვეშ არ მოვაქციოთ საკუთარი ინტერესები. ასეთი საუბრები ჩვენ ყველას მოგვისმენია სხვა ისტორიული ვითარებების დროს. მე, როგორც ბერძენს, ხშირად მომისმენია ასეთი რამე და ჩემმა ქვეყანამ ბევრი რამ დაკარგა ამის გამო.

თუ ჩვენს პოლიტიკურ სულში კიდევ დარჩა ადგილი პატიოსნებისა და თვითპატივისცემისათვის, სასწრაფოდ უნდა ვთქვათ უარი უგულისყურობასა და კაზუისტიკობაზე, რათა მინიმუმამდე შევამციროთ მომავალი სირცხვილის საშიშროება.




**ალექს რონდოსი,**
საბერძნეთის ყოფილი ელჩი,
საქართველოს მთავრობის მრჩეველი

INTERNATIONAL Herald Tribune
THE WORLD'S DAILY NEWSPAPER | iht.com

◎ გამოფენა



# სიყვარული სიყვარულის წილ

**უძველესი დროიდან საქართველოში დასახლებულმა ებრაელებმა ქართული ენა და ადგილობრივი ტრადიციები გაითავისეს და შეიყვარეს, მაგრამ არც თავიანთი ადათ-წესები დავიწყებიათ. მათ საუკუნეებს გამოატარეს საკუთარი რელიგია და ზნე-ჩვეულებანი. იმაზე, თუ როგორია ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა ჩვენში, გვიამბობენ ექსპონატები, რომლებიც თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლის) საგამოფენო სივრცეში განთავსდნენ.**

„მარადიული ცეცხლი“ — ასე ეწოდა ამ ექსპოზიციას, რომელიც საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა წარმოადგინა ებრაული ორგანიზაციების თანადგომით. იგი საიუბილეოა და ეძღვნება ორ მნიშვნელოვან თარიღს — ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მე-60 და საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების 75-ე წლისთავს. გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები სწორედ ამ მუზეუმში იყო დაცული ათეული წლების მანძილზე.



საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 1933 წელს დაუარსებიათ თბილისელ და ლენინგრადელ მეცნიერთა ჯგუფს და მას საფუძველი ჩაუყრია საქართველოს ებრაელთა ისტორიული ნაწილის კვლევისა და მეცნიერული შესწავლისათვის. კოლექციის შესაგროვებლად კი საგანგებოდ მოწყობილა ეთნოგრაფიული ექსპედიციები ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ კუთხეებში. ამის შედეგად ებრაელთა ისტორიის კულტურისა და ყოფის ამსახველი უამრავი მასალა შეგროვილა. ექსპედიციის მონაწილენი ყოფილან ქართველი მხატვრებიც, რომლებიც ადგილზე აკეთებდნენ ებრაელთა ტიპაჟებისა და მათი ცხოვრების ამსახველ ესკიზებს. მუზეუმი განთავსებული იყო ძველი სინაგოგის შენობაში (ივანიძის ქ.№3). გასული საუკუნის 50-იან წლებში იგი უაზრო მიზეზით დაუხურავთ, ექსპონატებს კი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში გადაუნაცვლებიათ. ქართულ-ებრაული ურთიერთობის ასოციაციას ხელისუფლების მხარდაჭერით 1992 წელს მუზეუმი აღუდგენია, მაგრამ შენობის ავარიულობის გამო კოლექცია კვლავ ეროვნულ მუზეუმში ინახება.

საიუბილეო ექსპოზიციის მოწყობაზე დიდი რუდუნებით იმუშავა მისმა კურატორმა, ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა ლელა წიწუაშვილმა.

**— ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ექსპონატები, რომლებიც მრავალმხრივად წარმოაჩენენ ქართველ ებრაელთა კულტურასა და ყოფას. მუზეუმის სახვითი ხელოვნების კოლექციაში ასსამოცდაათამდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარია. მათი ძირითადი ნაწილია თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილისა და ცნობილი ქართველი ფერმწერის დავით გველესიანის ნამუშევრები. მათში ყველაზე საინტერესოდ და ხატოვნად აისახა ქართველ ებრაელთა ცხოვრება,** — ამბობს ქალბატონი ლელა.

ამ ნათქვამში უთუოდ დაგარწმუნებთ გამოფენა. ფოლკლორული მასალების, ეროვნული კოსტიუმების, ხავერდისა და ბამბის ოქრომკედიანი ქსოვილების, სეფერთორის ფარდებისა და გვირგვინების, აქსესუარების, თავსაკრავების, სარტყელების — ქამრების, ამულეტების და სხვა ყოფითი ნივთების გარდა ებრაელი ხალხის ისტორიას ასახავენ შალომ კობოშვილისა და დავით გველესიანის ტილოები, რომლებშიც ცოცხლდება საქორწინო რიტუალები, სარიტუალო დანიშნულების ნივთები, წინდაცვეთის, ხანუქის სანთლებისა და მისიონერთა კურთხევის, ფრინველების რელიგიური წესით დაკვლის რიტუალები, ცეკვები...

ექსპოზიციის გახსნას დავით ლორთქიფანიძესთან ერთად მიესალმნენ ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური და ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები იციკ მოშე, გრეგორი ბროდსკი...

ეს გამოფენა კიდევ ერთი დასტურია იმის, თუ რა გაუზგზარავია ორი ერის ძმობა და მეგობრობა.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XIX ეროვნული ჩემპიონატის XXV ტური.** „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 6:5 (!), „ბათუმი“ — „ზესტაფონი- 0:0, „ბორჯომი“ — „სიონი“ 2:5, „ვიტ ჯორჯია“ — „მგლები“ 2:1, „მერანი“ — „ოლიმპი“ 0:1, „ამერი“ — „მესხეთი“ 0:0, „სპარტაკი“ — „დილა“ 3:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ — 67, „ვიტ ჯორჯია“ — 60, „ზესტაფონი“ — 56, „ოლიმპი“ — 49, „ამერი“ — 48, „მესხეთი“ — 36, „ბორჯომი “ — 31, „მგლები“ — 30, „სიონი“ — 29, „ლოკომოტივი“ — 24, „სპარტაკი“ — 23, „მერანი“ — 19, „ბათუმი“ — 16, „დილა“ — 8 ქულა.

**18 მაისს ბოლო ტურში ითამაშებენ:**

„დილა“ — „დინამო“, „ზესტაფონი- — „ამერი“, „მესხეთი“ — „ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“ — „სპარტაკი“, „სიონი“ — „მერანი“, „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“, „მგლები“ — „ბორჯომი“.





**იტალია. XXXVII ტური.** „ინტერი“ — „სიენა“ 2:2, „რომა“ — „ატალანტა“ 2:1, „იუვენტუსი“ — „კატანია“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 82, „რომა“ — 81, „იუვენტუსი“ — 71 ქულა.

**ბომბარდირები:** დელ პიერო, ტრეზეგე (ორივე — „იუვენტუსი“), ბორიელო („ჯენოა“) — 19-19 გოლი.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „პარმა“ — „ინტერი“, „კატანია“ — „რომა“, „სამპდორია“ — „იუვენტუსი“.

**ესპანეთი. XXXVII ტური.** „სარაგოსა“ — „რეალი“ 2:2, „ვილიარეალი“ — „ესპანიოლი“ 2:0, „ბარსელონა“ — „მალიორკა“ 2:3, „ატლეტიკო“ — „დეპორტივო“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ — 82, „ვილიარეალი“ — 74, „ბარსელონა“ — „ატლეტიკო 64-64 ქულა.

**ბომბარდირი:** გისა („მალიორკა“) — 26 გოლი.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „რეალი“ — „ლევანტე“, „დეპორტივო“ — „ვილიარეალი“, „მურსია“ — „ბარსელონა“, „ვალენსია“ — „ატლეტიკო“.

**ინგლისი. ბოლო ტური.** „უიგანი“ — „მანჩესტერი“ 0:2, „ჩელსი“ — „ბოლტონი“ 1:1, „სანდერლენდი“ — „არსენალი“ 0:1.

**საპრიზო სამეული:** „მანჩესტერი“ — 87, „ჩელსი“ — 85, „არსენალი“ — 83 ქულა.

**ბომბარდირი:** რონალდუ („მანჩესტერი“) — 31 გოლი.



**გერმანია. XXXIII ტური.** „დუისბურგი“ — „ბაიერნი“ 2:3, „ვერდერი“ — „ჰანოვერი“ 6:1, „შალკე“ — „აინტრახტი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 73, „შალკე“ — 63, „შალკე“ — 61 ქულა.

**ბომბარდირი:** ტონი („ბაიერნი“) — 21 გოლი.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „ბაიერნი“ — „ჰერტა“, „ლევერკუზენი“ — „ვერდერი“, „ნიურნბერგი“ — „შალკე“.

**საფრანგეთი. XXXVII ტური.** „ლიონი“ — „ნანსი“ 1:0, „ბორდო“ — „სოშო“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 76, „ბორდო“ — 74, „ნანსი“ — 60 ქულა.

**ბომბარდირი:** ბენზემა („ლიონი“) — 20 გოლი.

**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „ოსერი“ — „ლიონი“, „ლანსი“ — „ბორდო“, „ნანსი“ — „რენი“.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

◎ რაგბი

# „ლელო“ და „ლოკომოტივი“ დაწინაურდნენ

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 8 გუნდი მონაწილეობს. მეორე ტურში „ლოკომოტივმა“ „დინამოს“ სძლია 31:12. ასევე მეორე გამარჯვება იზეიმა „ლელომ“, რომელმაც „ყოჩები“ დაამარცხა — 15:11. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „აკადემია“ — „არმაზი“ 26:17, „აია“ — „უნივერსიტეტი“ 13:13.**

ამდენად, ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ „ლოკომოტივი“ და „ლელო“ ლიდერობენ. მათ ქულით ჩამორჩება „უნივერსიტეტი“, რომელიც გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზეა.

* * *

**ბოსნიაში დამთავრდა ქალთა ნაკრებებს შორის შვიდკაცას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.** ჯგუფურ პაექრობებში დებიუტანტმა ქართველებმა მხოლოდ ბოსნიელებს აჯობეს 14:0, ხოლო ავსტრიასთან (10:34), ისრაელთან (7:42), ხორვატეთთან (7:15) და რუმინეთთან (0:50) ჩვენი გუნდი დამარცხდა. მეცხრე ადგილისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრებმა სლოვენიას სძლია 31:0, დასკვნითი შეხვედრა კი სერბებთან წააგო (0:20) და საბოლოოდ მე-10 ადგილს დასჯერდა.

◎ ხელბურთი

# ერთი წლის შემდეგ



**იყო დრო, ქართველი ხელბურთელები შიშის ზარს სცემდნენ უძლიერეს მეტოქეებს. მაგრამ რაც გვინახავს, ველარ ვნახულობთ და კაცმა არ იცის, როდესმე თუ ვნახავთ კიდევ, უცხოელთა საგმირო საქმეებს გავეცნოთ.**



ამ დღეებში დასრულებული ჩემპიონთა თასის გათამაშების გამარჯვებული ერთწლიანი პაუზის შემდეგ ესპანური „სიუდად რეალი“ გახდა, რომელმაც პირველ რაუნდში შინ განცდილი მარცხის შემდეგ — 27:29 სტუმრად თითქმის შეუძლებელი შეძლო და გერმანიაში, მსუყე რევანში აიღო შარშანდელ ტრიუმფატორთან — „კილთან“ — 31:25. აქვე გაუწყებთ, რომ ფედერაციის თასი გერმანიის „ნორდჰორნმა“ მოიპოვა.

ფარსი №2

# კუზიანს რა გაასწორებს!



**დღეს 13 მაისია – თარიღი, რომელიც მთელ საქართველოს ეკუთვნოდა. რატომ წარსულ დროშიო, იკითხავს ალბათ რიგითი მკითხველი. მათ გასაგონად განვმარტავთ იმას, რაც ძალიან კარგად იცის გულშემატკივარმა, უფრო სწორად – გველის ნაკბენივით ახსოვს შარშანდელი 13 მაისიდან: ამ ქვეყანაში მორალი და სამართალი ყველას ფეხებზე ჰკიდია, მთავარია მმართველ პარტიას ასიამოვნონ. თუ ნებით არ იზამენ, არსებობს მეთოდები, მათი საშუალებით რომ გადაადგმევინებენ ზნეობასთან მწყრალ ნაბიჯებს.**

აი, უკანასკნელი მაგალითი: თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში გრიგოლ ცაავამ ქულათა მაქსიმუმი – 25 მიიღო, მისმა ერთადერთმა კონკურენტმა გელა კეტაშვილმა კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – არც ერთი. მიხვდით ხომ, რატომაც. დიახ – პირველი ნაციონალ-სოროსელთა ყურმოჭრილი მონის ნოდარ ახალკაცის პროტეჟეა, მის მეტოქეს კი ზურგს მხოლოდ ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული უმაგრებდა. მაშინ, როცა ქართული საფეხბურთო სამყარო სირაქლემას პოზაში ყოფნას ამჯობინებს, „იბაირამებენ“ ვარდოსნები, რატომაც არა!



**გია პლატონიშვილი**

ჭიდაობა

# კიდევ 2 ლიცენზია!

**საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა შარშან ბაქოს მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის მხოლოდ სამი ლიცენზია (დავით ბედინაძე, ბადრი ხასაია, რამაზ ნოზაძე) მოიპოვეს. მოულოდნელი იყო 2003 წლის მსოფლიო და 2007 წლის ევროპის ჩემპიონის – მანუჩარ კვირკველიას (74 კგ.) უსაგზუროდ დარჩენა. გამოცდილ ფალავანს მთელი ყურადღება სალიცენზიო ტურნირებზე უნდა გადაეტანა და ასეც მოხდა.** მან წლევანდელი ევროპის ჩემპიონატიც კი გამოტოვა და გასულ უქმეებზე რომში იასპარეზა. საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს უნდა გამკლავებოდა. მათ შორის – ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულს, მსოფლიოს და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონ ვარტერეს სამურგაშევს (რუსეთი), მსოფლიო ჩემპიონებს – ვლადიმირ შაცკიხსა (უკრაინა) და მარკო ილი-ჰანუკსელას (ფინეთი).

ქართველმა ფალავანმა პირველ წრეში კანადელ კოლინ დეინესს აჯობა (6:0, 6:0), შემდეგ სამურგაშევი ჩამოიცილა გზიდან, თუმცა მას დასამარცხებლად 3 რაუნდი დასჭირდა. მომდევნო სამ პაექრობაში უპრობლემოდ სძლია ესტონელ ეერიკ აპსს, შვედ ბაბულფატს და აზერბაიჯანელ ილგარ აბდულოვს, რითაც პირველ ადგილთან ერთად 2008 წლის ოლიმპიადის საგზურიც დაიმსახურა.

წინა დღით მსგავს წარმატებას მიაღწია ქუთაისელმა ლაშა გოგიტაძემ (55კ.). სამწუხაროდ, თანაგუნდელებს მხარი ვერ აუბეს მუხრან მაჭუტაძემ (66კ) და რევაზ ჭელიძემ (120კ). მათ პეკინში გამგზავრების უფლების მოსაპოვებლად 23-25 მაისს გასამართი სოფი სადის (სერბეთი) ბოლო სალიცენზიო ტურნირი რჩებათ.



ძიუდო

# ყველა სინჯის მედალი – ჩეხეთიდან

**ევროპის 25 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ჩეხეთში, ქალაქ ტეპლიცეს ტატამზე, სადაც ამ დღეებში ჭაბუკ ძიუდოისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.**

– ძიუდოს ქართულმა სკოლამ კვლავაც დაადასტურა თავისი მაღალი რეპუტაცია, – მითხრა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ანზორ თენაძემ. – ჩეხეთიდან ყველა სინჯის მედლით დავბრუნდით.

ტურნირი მესამე საპრიზო ადგილით დაასრულა მისმა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 14 წლის გორელმა ირაკლი ლომიძემ. ასევე ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი მძიმეწონოსანმა ვარიანელმა უშანგ კოკაურმა. ახლახან მას 16 წელი შეუსრულდა და ამ წონაში იგი მწვრთნელის აზრით, საიმედო ძალად იზრდება.

ორივე მოჭიდავე ცნობილი მწვრთნელების – ანზორ თენაძისა და ნიკოლოზ ბიბილაშვილის მეთვალყურეობით ოსტატდება.

ხუთი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან რუისელმა გოჩა ვარძელაშვილმა (მწვრთნელი ქართლოს პავლიაშვილი). ფინალში მასპინძელთა ფავორიტს შეხვდა. აუწერელი ხმაურისა და მიკერძოებული მსაჯობის მიუხედავად, ქართველმა ფალავანმა მეტოქეს ვაზარით აჯობა.

ოქროს მედლის მფლობელი გახდა ახმეტელი შმაგი ლაგაზაურიც. მასვე ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზიც გადაეცა.

16 წლის თბილისელმა გიორგი მერმანიშვილმა შარშანდელი „ბრინჯაო“ წლეულს „ოქროდ“ „გადაადნო“.

საერთო ჯამში საქართველოს ნაკრები პირველ ადგილზე გავიდა.

ორიოდე თვეში ჩვენი ჭაბუკები ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.

**გურამ ვაშაკიძე**

კალათბურთი

# სახიფათო დევნა

**ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის „პლეი-ოფებში“ ამბები დატრიალდა, თქვენი მოწონებული. ეს განსაკუთრებით „ავიამშენი“ – თსუ-ს წყვილზე ითქმის, რომლებმაც თითო ჩხვლეტა მიაყენეს ერთმანეთს.**

პირველ დუელში ავიატორები 26 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეხუთე პერსონალური შენიშვნის გამო სარბიელი ტულუშმა დატოვა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. სტუდენტებს მხოლოდ დროის უკმარისობამ შეუშალათ ხელი მატჩის გადარჩენაში – 118:114. სამაგიეროდ, მეორე დღეს როლები გაიცვალა – თსუ დებიუტიდანვე დაწინაურდა და მეტოქეს შეხვედრის ბოლომდე გამოუწერა მდევრის როლი – 93:85. აღსანიშნავია, რომ სინათლე გვირაბის ბოლოს მაშინ გამოჩნდა, როცა მსაჯებმა ზედმეტი ემოციურობისათვის სათადარიგო სკამიდან თსუ-ს მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი გააძევეს, თუმცა მისმა შეგირდებმა მაინც მოახერხეს კარგად დაწყებული საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა – 1:1.



რაც შეეხება მეორე დუელს, სუპერლიგის რეგულარული სეზონის გამარჯვებულს „ენერჯი ინვესტს“ „ვითამ“ მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა, შესვენების შემდეგ კი რუსთაველებმა ორივეჯერ იმძლავრეს – 102:73 და 102:88.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

ორბიტაზე



## პოლიტიკაზე მაღლა დადგებიან?

**ირანის ნაკრებმა ოფიციალური მიწვევა მიიღო აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციიდან, ივნისის ბოლოს ათდღიანი შეკრება გაიაროს ლოს-ანჟელესის მახლობლად, აგრეთვე ითამაშოს ორი ამხანაგური მატჩი.**

როგორც ფიქრობენ, ირანელთა ერთ-ერთი მეტოქე, შეიძლება, იყოს კლუბი „ლოს-ანჟელეს გელექსი“, სადაც დევიდ ბექჰემი თამაშობს.

მიაჩნიათ, რომ ეს ამერიკული მომზადება კარგად წაადგება ირანის ნაკრებს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობისთვის, მით უმეტეს, რომ ნაკრებმა პირველი მატჩები წარუმატებლად გამართა, ფრედ დაამთავრა რა შეხვედრები სირიისა და კუვეიტის ნაკრებებთან. თუმცა ამერიკაში გასამგზავრებლად მთავარი მწვრთნელის ალი დაეის თანხმობის გარდა აუცილებელია ქვეყნის მთავრობასთან დაკავშირებული ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციის, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობაც. რასაკვირველია, თუ ისინი სპორტს არ დაუკავშირებენ პოლიტიკას.

## ღმერთს სამება უყვარს



**ალბათ ასე იფიქრა თურქეთში ისტამბულპარკის ავტოდრომზე ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპის ფინიშთან მისულმა „ფერარის“ ბრაზილიელმა პილოტმა ფელიპე მასამ – ეს ხომ მისი წლევანდელი მესამე გამარჯვებაა.** პოდიუმის მეორე საფეხურზე ავიდა „მაკლარენის“ მრბოლი ლუისი ჰემილტონი, მესამე კი გამარჯვებულის თანაკლუბელი და წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი კიმი რაიკონენი იყო.

## ფრანგები მოხიბლა

**შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონმა ავტორბოლაში „ფორმულა-1“, გერმანელმა მიხაელ შუმახერმა პირველი ადგილი დაიკავა იმ ცნობილ ადამიანებს შორის (ფრანგების გარდა), ვინც ყველაზე მეტად ესიმპათიურებათ საფრანგეთის მოქალაქეებს.**

გამოკითხვა ევროპის დღისთვის მოაწყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა. CSA და გაერთიანებამ Europa Nova.



შუმახერმა პოპულარობით გადაუსწრო პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელებს როჯე ფედერერსა და რაფაელ ნადალს, გამოკითხვის პირველ ათეულში რომ მოხვდნენ.

სიაში მეორე ადგილი მოიპოვა იტალიელმა მსახიობმა ქალმა მონიკა ბელუჩიმ (ფოტოზე), პირველ სამეულშია დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II, პირველ ათეულში მოხვდნენ აგრეთვე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და საფრანგეთის პირველი ქალბატონი, იტალიელი კარელა ბრუნი სარკოზი.

## ◉ წუხელ რუსთაველის თეატრში

# ლექსო, ნუ დაიკარგები!

### სცენაზე ვახუშტი კოტეტიშვილის გამოსვლამ მეტი ეშხი და ლაზათი შემატა პოეზიის საღამოს


ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული

**გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოა. გაქანებულ კომუნისტურ ეპოქაში ქართული კულტურის რენესანსი დგას: ელვარებს ქართული მწერლობა, შინ და გარეთ მაყურებელს ატყვევებს „რობერტ სტურუას თეატრი", ქართული კინოს განსაკუთრებულ ფენომენს მსოფლიო აღიარებს, ქართველი მხატვრების, ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა ოსტატობა მტერ-მოყვარეს ხიბლავს, უდიდესი ყურადღება ექცევა ხალხურ შემოქმედებას, უმდიდრესი ქართული ფოლკლორის გამომზეურებასა და პოპულარიზაციას...**

ამის ერთ-ერთი დასტური იყო სწორედ „სლოგანი" (ნახეთ, რა ქართული შემოიტანეს ქვეყნის დღევანდელმა „მშვენებლებმა"!ძ „ლექსო, ნუ დაიკარგები", რომელიც დედაქალაქის ქუჩებში გაჩნდა და დიდ საკონცერტო დარბაზში ხალხური პოეზიის საღამოებზე ეპატიჟებოდა თბილისელებს. იმ საღამოების ეფექტი დღესაც არ განელებიათ უფროსი ასაკის ადამიანებს. ის საღამოები, მადლობა ღმერთს, ტელევიზიამ ჩაიწერა და, ჟამიდან ჟამზე, როცა უჩვენებენ ხოლმე, გული სიამაყით გვევსება — ეს რა განძი გვქონია ერის წიაღში!

ამ განძის გამბრწყინებელნი და მამულიშვილური საქმის სულისჩამდგმელნი კი იყვნენ აწ გარდაცვლილი ჩვენი „ჩუბჩიკა" — უნიჭიერესი მხატვარი, ქართული ფოლკლორის სიყვარულში ჩამწვარი კაცი თენგიზ მირზაშვილი და დიდი ვახტანგ კოტეტიშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი ვაჟიშვილი — პოეტი, მეცნიერ-ფოლკლორისტი, აღმოსავლური პოეზიის უბადლო მთარგმნელი ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელმაც იმ საღამოებზე კიდევ ერთი წახნაგი გამოავლინა თავისი ნიჭიერებისა — ვახუშტის არტისტული ხიბლი სცენაზე და ლექსის ოსტატური კითხვა, ბევრ მსახიობს შეშურდებოდა. მას ახლო მეგობარი, მეცნიერი და კაფიების დიდოსტატი ალექსი ჭინჭარაულიც უმშვენებდა ხოლმე მხარს. კარგ საქმეს აჰყვა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, პირადად ბატონი დორიან კიტია და ერთ საღამოსაც დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა გაივსო „ჩუბჩიკასა" და ვახუშტის მიერ სოფელ-სოფელ ნაგროვები უნიჭიერესი ადამიანებით — აქეთ ივანე წიკლაურიო (გენიალური „რამ დამაბერას" ავტორიძ, იქით ნათელ ზვიადაურიო, იოსებ ბაიაშვილიო, გოგი თურმანაულიო, შალვა მეზურნიშვილიო, ზაქრო ფილაურიო... სწორედ მაშინ გავიცანით სრულიად უნიკალური მოვლენა ქართულ პოეზიაში, თვალმახარა ეთერ თათარაიძე... იმ საღამოებზე თუშეთის მთებში გაზრდილმა გოგონამ თავისი უჩვეულო ლექსებით მსმენელი და მაყურებელი ხომ დაატყვევა, ერთი ხევსური ჭაბუკი განსაკუთრებით მოხიბლა, ანუ ამირან არაბულსა და ეთერ თათარაიძეს პოეზიის საღამოებმა ერთმანეთი აპოვნინა.

დღეს უკვე სამი შვილი ჰყავთ ამირანსა და ეთერს, შესანიშნავი ოჯახი აქვთ, პოეტი ეთერ თათარაიძე შვიდი პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია და თან მხარში უდგას მეუღლეს, ფოლკლორისტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ამირან არაბულს ქართული ფოლკლორის, ჩვენი თვალმარგალიტის კვლევა-ძიების საქმეში. სხვა ნაშრომებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ აღსანიშნავად, მათი ავტორობით შარშან გამოსული ძალზე ორიგინალური კრებული — „შენდობით მომიხსენიეთ" — იკმარებდა, რომელშიც თავმოყრილია ძველი ქართული საფლავის ქვების ეპიტაფიები და, რომელსაც, ამას წინათ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა „საუკუნის წიგნი" უწოდა.

და აი, კიდევ ერთი მამულიშვილური საქმე უნდა აღასრულონ ამირანმა და ეთერმა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმე მიყვანილია ბოლომდე. მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უამრავი ხალხური მელექსე მოიძიეს (სათქმელად და დასაწერად ადვილიაძ, იმათგან 70-ზე მეტი მჯობნის მჯობნი შეარჩიეს და მოამზადეს ხალხური პოეზიის დიდი საღამოსთვის, რომელიც რუსთაველის თეატრში გაიმართება.

— ღონისძიება, რომელსაც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი მართავს „ოლიმპიური ვარსკვლავის" ფინანსური მხარდაჭერით, ასე ვთქვათ, „ჩაჯდა" ხალხური შემოქმედების ხელშეწყობის საპრეზიდენტო პროგრამაში, — ამბობს ჩვენს რედაქციაში სტუმრად მყოფი ბატონი ამირან არაბული, — ჩვენ შევეცადეთ, რომ საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენელს მიეღო მონაწილეობა ამ საღამოში. ესენი არიან მელექსეები, მომღერლები, მოცეკვავეები... პანკისელი ქისტებიც კი ჩამოვიყვანეთ... 30 წლის წინათ რომ ტალანტები გაიცნო მთელმა საქართველომ, ცხადია, იმათგან თითქმის აღარავინაა ცოცხალი, მაგრამ საქართველოში რა დალევს თვითნაბად ტალანტებს და ჩვენი მიზანიც სწორედ ეგაა, რომ ახალმა თაობამ შეიგრძნოს ვისი გორისანი არიან, საიდან მოდიან... ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში მეტად მოიკიდებს ფეხს ყოველივე ეროვნული, ანუ ხალხური პოეზიის საღამოების ტრადიცია აღდგება და ახალ წახნაგებს შეიძენს. და ერთიც: იმ უდიდესი ღვაწლის გამო, რაც ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილს მიუძღვის ქართული ფოლკლორის წინაშე (მან ხომ ცალკე წიგნადაც გამოსცა 30 წლის წინანდელი პოეზიის საღამოების შედევრები — „კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო"ძ, გადავწყვიტეთ, რომ აღდგენილ პოეზიის საღამოებს ვახუშტის სახელი ეწოდოს.

**— და, ამ ერთი საღამოთი დამთავრდება ყოველივე?** — ვეკითხები ამირანს.

— რა თქმა უნდა, არა... ჩვენ მოვივლით საქართველოს ყველა დიდ ქალაქს, მონაწილეობის მსურველი ბევრია და სასიამოვნოა, რომ ჩვენს ხალხს, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, კვლავაც შერჩა სიყვარული და პატივისცემა საკუთარი ფესვებისადმი.

**...წუხელ რუსთაველის თეატრში ხალხური ლექსის ჭეშმარიტი ზეიმი იყო. საღამოს უძღვებოდნენ თავად ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი, ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე.**

## ◉ საღაღობო ლექსად



# ბერიკებიდან მოდიხარ...

### *15 მაისს მარჯანიშვილის თეატრის წინ 75 წლის გივი ბერიკაშვილის ვარსკვლავი გაიხსნება*

*ძალად არტისტი როდი ხარ —*
*ბერიკებიდან მოდიხარ,*
*დიდ წინაპართა კვალზე ხარ,*
*მწამს გაგვახარებ ხვალ-ზეგაც.*
*ანათებს შენი ვარსკვლავი,*
*რჩები თეატრის მსახური,*
*ერთი მწყინს: ქაფიანიძე,*
*უცებ რომ გათრობს „კახურით"...*

## ◉ მეგობრების ნაჩუქარი წიგნები

# დაღლილი ნაბიჯებით, ახალგაზრდული გულით



**თავის სამოცდამეჩვიდმეტე მაისობას ახალი წიგნით შეხვდა გურამ გომართელი — ჩვენი უფროსი ძმა და ღირსეული კოლეგა — მწერალი, ჟურნალისტი, რომელიც სიბერის ჟამს, როგორც თვითონ ამბობს, ლექსს მიეძალა და სევდა-სიხარული ფაქიზ სტრიქონებად ჩამოქნა. ამ ლექსების უმრავლესობა გურამმა „საქართველოს რესპუბლიკასა" და „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდა, ახალ წიგნში კი ყველას ერთად მოუყარა თავი.**

წიგნში, ლექსების გარდა, „მცირე პროზაცაა" შეტანილი — მშვენიერი ჩანახატებით, ეტიუდებით ავტორი — ძველ ქალაქელთა ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, „ერთ დროს პირველი მეფაიტონე" — ხან თბილისის ქუჩაბანდებს მოგვატარებს, ხან დაუვიწყარ თბილისელთა პორტრეტებს გვთავაზობს, ხან სევდიან მოგონებებს გვიზიარებს...

იყო დრო, ამ რამდენიმე თვის წინათ, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაში, ერთად რომ ვისხედით (სანამ მიშა და მისი „რაზმი" რედაქციებს იქიდან გამოყრიდაძ და ჩვენს ნაწერებსაც ერთმანეთს ვუკითხავდით. ასე რომ, გურამ გომართელის ლექსები თუ პროზა ადრევე მაქვს გადაჭაშნიკებული, თუმცა, ამ კრებულში, რომლისთვისაც **„დაღლილი ნაბიჯები"** დაურქმევია ავტორს, ერთხელაც სიამოვნებით წავიკითხე და ჩემი უფროსი მეგობრის ნიჭი დავლოცე.

დაღლილი ნაბიჯებით ვიაროთ, ოღონდ, გული გვქონდეს ახალგაზრდული, გურამ!

# წვა სხვათა გასათბობად



**რასაც ქმნის, სიყვარულით ქმნის ცნობილი მოქანდაკე და პოეტი მერაბ მეტრეველი. ეროვნული მუხტი ძალუმად ფეთქავს მის შემოქმედებაში. ეს იგრძნობა ახალ პოეტურ კრებულშიც, რომლისთვისაც „გზას სიყვარული მიკვლევდა" დაურქმევია ავტორს.**

წიგნს ერთვის მერაბ ბერძენიშვილის წინასიტყვა, რომელშიც ვკითხულობთ: „მერაბ მეტრეველი ის შემოქმედია, რომელიც თავად იწვის იმისათვის, რომ სხვა გაათბოს. მისი შემოქმედება ფიქრი და ტკივილია სამშობლოზე, ადამიანზე".

ჭეშმარიტად! დიდი მოქანდაკის სიტყვების სისწორეში ეს პოეტური კრებული უმალ დაგარწმუნებთ!

# ბაღდათელის პოეტური მოსავალი







**ჩემი ბაღდათელი ძმა, „ქუთაისელი პოეტი" ზაალ ებანოიძე ორი ახალი პოეტური კრებულით მესტუმრა: „თვალჩავარდნილი სამყარო" ცოტა ადრე გამოუცია, „ერთტომეული" კი ახლახან.**

ზაალი თავის მიწას მიჯაჭვული კაცია, ბაღდათში ხნავს და თესავს, თავის კარმიდამოს ეფერება და კარგი ლექსების „მოსავალსაც" აქვე იწევს.

მოვუსმინოთ კრიტიკოს ელგუჯა თავბერიძეს:

„უმთავრესი, რაც ზაალ ებანოიძის ბოლოდროინდელი ლექსებისთვისაა ნიშანდობლივი, ესაა სამყაროსეული ფიქრის მოძალება, ადამიანის რაობის განჭვრეტა, ამ ქვეყნად ყოფნის მიზნის გაგების სურვილი და ა. შ. და, რაც მთავარია, ეს ფიქრი პოეტურადაა ზეაზიდული, მაღალი ემოციური განწყობით მოტანილი მკითხველამდე".

**„ჩამოლეული ფერი მაყვალთა**
**ჩემი დარდია, ჩემი ფიქრია;**
**შენ კი რა გიშავს, თუკი წახვალ და**
**გაისად მაინც მოხვალ, ნიბლიავ".**

ვისაც ლექსის სიყვარული კიდევ შერჩენია, შემიძლია ვურჩიო ზაალ ებანოიძის ახალი პოეტური კრებულის წაკითხვა.

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

## ინფორმაცია

### თემურ შაშიაშვილი თავის ოპონენტებს მიმართავს

**გუშინ, 12 მაისს, პოლიტიკური გაერთიანება ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის ქუთაისის მაჟორიტარმა კანდიდატმა თეიმურაზ შაშიაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს საკუთარი ქონების დეკლარაცია წარუდგინა.**

მე საშუალება მქონდა გამომეყენებინა ჩემი მაღალი თანამდებობები და დამეგროვებინა ქონება. თუმცა, ამ გზას პატიოსანი ცხოვრება ვარჩიე. ჩემს ოპონენტებს ვთავაზობ: თუ რომელიმე მათგანი აღმოაჩენს ჩემს სახელზე დარეგისტრირებულ უძრავ ქონებას, ამ ქონებას მათ ვაჩუქებ, – განაცხადა შაშიაშვილმა.

### აფხაზებმა, მეექვსე თვითმფრინავიც ჩამოვაგდეთო!

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია აცხადებს, რომ გუშინ, 14:16 საათზე აფხაზეთის ჰაერსაწინააღმდეგო ძალებმა ოჩამჩირის თავზე საქართველოს კუთვნილი კიდევ ერთი უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.**



რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ამ ინფორმაციას სერგეი ბაღაფშის ადმინისტრაციაშიც ადასტურებენ და აცხადებენ, რომ უპილოტო მზვერავის ჩამოვარდნის ადგილი ნაცნობია და მალე თვითმფრინავის ნაწილებს საზოგადოებას წარუდგენენ.

### ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს

**საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით ცესკოს წევრებმა ქცევის კოდექსს ხელი მოაწერეს. ქცევის წესები ამერიკულმა ორგანიზაციამ „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა“ და გაეროს განვითარების პროგრამამ ცესკოსთან თანამშრომლობითა და აშშ-ის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით შეიმუშავეს.**

წესები ავალდებულებს საარჩევნო კომისიას დაიცვას საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ყველა წესი, იყოს სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

ქცევის წესები ექვსი ძირითადი პრინციპისაგან შედგება. პრინციპები საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას ეფუძნება. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ქცევის წესებს გუშინვე ხელი მოაწერეს საქართველოში არსებული საოლქო და საუბნო კომისიების წევრებმა. ცერემონია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.

### გაიხსნა რელიგიური დოკუმენტების გამოფენა

**გუშინ, 12 მაისს, საქართველოს საპატრიარქომ და იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში ეროვნულ არქივში დაცული რელიგიური დოკუმენტების გამოფენა გახსნეს, რომელიც წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს მიეძღვნა.**

გამოფენაზე წარმოდგენილია ეროვნულ არქივში დაცული რელიგიური შინაარსის დოკუმენტები, რომლებიც IX-XIX საუკუნით თარიღდება, მათ შორის: სხვადასხვა დროს გადაწერილი სახარება, კონდაკი, გულანი, საეკლესიო კრების დადგენილება, ქართველი მეფეებისა და კათალიკოსების მიერ გაცემული შეწირულების წიგნები და სხვა უნიკალური დოკუმენტები.

13-14 მაისს ექსპოზიცია ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში გაგრძელდება, მისი დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

ინტერპრესნიუსი

## ხსოვნა

# გრიგოლ ქობალია

### რაინდული სულისა და შემართების კაცი



მისმა უეცარმა გარდაცვალებამ თითოეული ჩვენგანი შეძრა. მეგობრებმა უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლი, ჭირთა რაინდულად დამთმენი კაცი დავკარგეთ, ქვეყანამ – ერთგულესი მოქალაქე,შვილი და ჯარისკაცი. ამ უცნაური ხვედრისა და ბედის ადამიანი რა ქვათა შეკრებაში, რა ქვათა ცვენაში არ მდგარა, რა ტრაგედია არ დასტეხია მას. მიუხედავად ამისა, განსჯა-ჭვრეტისკენ ბუნებით მიდრეკილი, ერთი წამითაც არ ჩამოქვეითებულა. მან მხედრული სახე და გული ბოლომდე შეინარჩუნა.

ბიოგრაფიაც შესაფერისი ჰქონდა. გლეხკაცის ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს, სიყრმეშიც და სიჭარმაგეშიც არაერთი წინააღმდეგობის გადალახვამ მოუწია. სრულფასოვანი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება. სხვადასხვა დროსა და წლებში უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იმუშავა და საქმეს ყველგან პროფესიონალის ხელი დაატყო. უწინარესად მხედველობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გატარებული წლები გვაქვს. მას ამ უწყებაში მუშაობა უაღრესად რთულ, წინააღმდეგობებით სავსე წლებში მოუწია, ამაგიც დაუფასდა. მას 1992 წელს პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

ბოლო წლებში რევოლუციურ აღტკინებასა და ქარ-ბორიაში ჩაება. 2003 წელს „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ პარტიული სიით იგი საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს. დიახ, გრიგოლ ქობალიას საქვეყნო პრობლემატიკისათვის თვალი არასოდეს აურიდებია. იგი ურთულეს სიტუაციებში სულ მუდამ გამოსავლის ძიებაში იყო. ეს პარლამენტში იქნებოდა თუ ხელისუფლების სხვა, ამა თუ იმ შტოში. მუდმივი სჯა-ბაასის, დიალოგის მოსურნე სულ მოვლენათა ეპიცენტრში იდგა. შეჭირვებულ მოქალაქეებს უანგაროდ უწვდიდა დახმარების ხელს. ინსტანციიდან ინსტანციაში დაყვებოდა და სამართალსა და სამართლიანობას მათთან ერთად ეძებდა.

გრიგოლ ქობალია ტრადიციების აქტიური ქომაგი და მიმდევარი იყო; ეროვნულ ღირებულებათა და ფასეულობათა დაცვა ღირსების საქმედ მიაჩნდა. ამიტომაც არაერთი საშვილიშვილო პროექტის განხორციელებაში მიუღია მონაწილეობა.

აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ბატონ გრიგოლს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სამეცნიერო მუშაობაც. 1990 წელს იგი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ხდება. ხოლო სადოქტორო დისერტაციის დაცვა, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. იგი არჩეული იყო ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიის წევრად.

გრიგოლ ქობალია არაჩვეულებრივი მეოჯახეც გახლდათ. მან მეუღლესთან, ქალბატონ ემასთან ერთად ორი ვაჟკაცი გაუზარდა სამშობლოს. ერთი მათგანი, ლევანი ტრაგიკულად დაიღუპა, რამაც ბატონ გრიგოლის ცხოვრებას სამუდამოდ დაასვა დაღი. ხოლო მეორე ვაჟიშვილი, ალექსანდრე, ამჟამად ზუგდიდის გამგებელია და დაკისრებულ მოვალეობას ღირსეულად ართმევს თავს.

გრიგოლ ქობალია მიწიერი საზრუნავით დატვირთული წავიდა ამ საწუთროდან და დიდი გულისტკივილი დაგვიტოვა; მის პიროვნებაში დავანებულმა ღვთიურმა მადლმა მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გამოაშუქა. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების გულში.

მეგობრები

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, პასუხს აგებს თუ არა მენარდე შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის?**

**რევაზ გოგოძე**

**პასუხი:** მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობის დროსაც.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, იგულისხმება თუ არა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ საბოლოო ანგარიშსწორებაში დამსაქმებლის ვალდებულება, დასაქმებულს გადაუხადოს გამოუყენებელი შვებულებების კომპენსაცია?**

**ვალერი კვიციანი**

**პასუხი:** დიახ, იგულისხმება: საქართველოს შრომის კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული საბოლოო ანგარიშსწორება, რომელიც დამსაქმებელმა დასაქმებულთან აუცილებლად არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა უნდა მოახდინოს, აუცილებლად გულისხმობს გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის გაცემასაც. ამასთან გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია მუშაკს უნდა მიეცეს ყოველ ნამუშევარ თვეზე, რომლის შესაბამისი შვებულებით მას არ უსარგებლია.



* * *

**კითხვა: ბოლო 2 წლის განმავლობაში შვებულებით არ მისარგებლია. გასული წლის დეკემბერში დამსაქმებელმა, ისე რომ არც გამაფრთხილა, გამათავისუფლა სამუშაოდან. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის 2007 და გასული წლების გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია?**

**ამირან კახნიაშვილი**

**პასუხი:** 2007 წლის შვებულების კომპენსაცია ყველა შემთხვევაში გეკუთვნით, რომელიც უნდა მიგეღოთ საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს. რაც შეეხება 2006 წლის გამოუყენებელ შვებულებას, მისი კომპენსაცია იმ შემთხვევაში მოგეცემოდათ, თუ შვებულება დამსაქმებლის ინიციატივით (სამუშაოს აუცილებლობიდან გამომდინარე), ბრძანებით გქონდათ 2007 წელში გადმოტანილი. 2005 წლის შვებულების კომპენსაცია არც ერთ შემთხვევაში არ მოგეცემათ, ვინაიდან დასაქმებულისათვის შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის ზედიზედ 2 წლის განმავლობაში კანონით დაუშვებელია.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

რევაზ ყიფიანი ოჯახით ულრმეს მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის, სამართალდამცავი ორგანოების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ერის წინაშე ვალმოხდილი სანიმუშო კაცის, დამსახურებული იურისტის, იუსტიციის გენერლის

ვარლამ ნიკოლოზის ძე ჭილაშვილის

გარდაცვალების გამო და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მამა შალვა, დედა ციალა სანიკიძე, მეუღლე დალი იარაჯული, შვილები თამუნა, ხატია, თორნიკე, ძმა ტარიელი, რძალი დალი ნადირაშვილი, ძმისწულები შალვა, ბესო, ბიძები ლუარსაბ ამირანაშვილი, გოდერძი სანიკიძე, დეიდა ნანული სანიკიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაზა შალვას ძე ამირანაშვილი

გამოსვენება 13 V, 15 სთ. მისამართი: ჭრებალოს II შესახვევი, №3 (ავჭალაძ.

---

არმაზ სანებლიძე, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია თანაუგრძნობენ თამუნა, ნანა, ლია, გია ამირანაშვილებს მამისა და ბიძაშვილის

ზაზა ამირანაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ალექსანდრე ქობალია იუწყება მამის, საქართველოს პარლამენტის წევრის

გრიგოლ ქობალიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 V, 15 სთ. გამოსვენება ზუგდიდის დადიანების კარის ეკლესიიდან.

---

საქართველოს პარლამენტის წევრი არნოლდ ჟვანია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

გრიგოლ ქობალიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მერი და ვალიკო (კუკური) როგავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ადამიანის

გრიგოლ ქობალიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

ინფორმაცია

# ვეტერანები უფასოდ იმგზავრებენ



**თბილისის მერიის ინიციატივით, მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ 26 ათასამდე ვეტერანი იმგზავრებს.**

მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის პლასტიკური ბარათები თბილისის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა ვეტერანებს პირადად გადასცა.

დღეიდან, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების გარდა, ამ უფლებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი, ასევე, ავღანეთის ომის მონაწილეები ისარგებლებენ.

**ინტერპრესნიუსი**

თითქმის ნატურიდან

# გარდაიცვალაო, მააშ!

**— ნიკავ, ჰაი ნიკავ! — გასძახა შაქრიამ მომიჯნავე ვენახში მომუშავე მეზობელს, — გაიგე კაცო, წუხელ ტელევიზორში რა თქვეს?**

— რაო, რა გვინდაო? — შეიცხადა ნიკამ.

— ნაციონალური მოძრაობა გარდაიცვალაო.

— გარდაიცვალაო?

— ჰო, გარდაიცვალაო, მააშ! — გაუმეორა მეზობელმა.

— ეგ რომელმა თქვა?

— აი იმან, მოტვლეპილთავიანმა პოლიტიკოსმა.

— უჰ, უცებ არ გამოვიცანი? მაგათში გრუზათმიანი ნეტა რომელია?

— ააა, გამახსენდა, — გამოასწორა შაქრიამ, — მგონი ბერძენიშვილი იყო.

— რომელი, ლევანა?

— ჰო, ეგა.

— არ დაიჯერო, ტყუილი იქნება.

— ვითომ რათაო?

— მართლა რო გარდაცვლილიყო, პანაშვიდს მაინც გადაიხდიდნენ.

— ეგ კია, ჰო, — დაეთანხმა შაქრია, — პანაშვიდზე არაფერი უთქვამთ.

— ჰოდა ტყუილი იქნება, რო გარდაცვლილიყო, მერაბიშვილი პირველი შაგვატყობინებდა. როცა ვინმე ბლალოჩინი კვდება, ხო იცი, მაგას ვერავინ დაასწრებს.

— ეგ მაშინ, ჩემო ძმაო, როცა კრიმინალთან გვაქ საქმე, ამ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, ნაცმოძრაობა საკუთარი სურვილით გარდაიცვალა.

— მომკალი და მაგას ვერ დავიჯერებ, — გაქირი ქნა შაქრიამ.

— ვითომ რატომაო?

— აბა დაფიქრდი, მართლა რო გარდაცვლილიყო, ამდენ ტყუილს ხო ვეღარ ილაპარაკებდა?

— მაგაში გეთანხმები, ნაციონალებს ტყუილები კვრინჩხივით ასხიათ.

— ჰოდა, ეტყობა, მაგიტომაც აუკრძალა ლაპარაკი პრეზიდენტმა.

— გაგიჟდი კაცო, ერთადერთი ლაპარაკი შეუძლიათ და ეგეც თუ აუკრძალა, სხვა რა უნდა აკეთონ?

— საქმე, მარტო საქმეო, შენ რა, ტელევიზორს არ უსმენ?

— თავად რო პულიმიოტივითა კაკანებს?

— თავად პრეზიდენტია, ძმაო, მაგან უნდა ილაპარაკოს და სხვებმა საქმე აკეთონ.

— ჰოდა, ეტყობა, ლევანა მაგან შეიყვანა შეცდომაში.

— რამ?

— რო აღარ ლაპარაკობენ, იფიქრა, გარდაიცვალნენო, სინამდვილეში კი თურმე საქმეს შეებნენ.

— ეგ არ მამწონს, — შეფიქრიანდა ნიკა, — მაგათ თუ საქმეს მოკიდეს ხელი, ჩვენ რაღა უნდა ვაკეთოთ?

— წამოვწვეთ ჩრდილში და დავისვენოთ.

— არ გამოვა.

— რატო?

— მაგათ საქმე არ იციან, ჯერ ქვეყანა დააქციეს და ახლა კიდევ ვენახებს ამოგვიგდებენ.

— თავიდან არც ფულის კეთება და ქეიფი იცოდნენ, მაგრამ მიეჩვივნენ.

— მაშ როგორ, ახლა ჩვენ ვიქეიფებთ, ისინი კი იმუშავებენ.

— აბა სამალარიჩოდა გვქონია საქმე, — წამო ახლავე ვკისრულობ, — თქვა ნიკალამ და თოხი მხარზე გაიდო.

— მაიცა, რა გეჩქარება, — სახელო დაქაჩა შაქრიამ, — ჯერ არჩევნები ჩატარდეს და მერე ვიმალარიჩოთ.

— მერე გვიანი იქნება, უნდა დავასწროთ, ძმაო, თორემ არჩევნების შემდეგ რო გადაიფიქრონ, მერე სად გარბიხარ?

**ოტია ჩართოლანი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

მიხომ ძაღლი გაასეირნა და სახლში დაბრუნებულმა ცოლს უთხრა:

— არ ვიცი, რა დაემართა ამ ჩვენს ტუზიკას. როდესაც სახლში მომყავდა, გზაში სულ იღრინებოდა და იძაგრებოდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა.

ცოლი აივანზე გავიდა, ძაღლს დახედა და ქმარს უთხრა:

— მას იმის თქმა უნდოდა, რომ იგი ჩვენი ძაღლი არ არის.



* * *

ექიმები წვევამდელებს ამოწმებენ:

— რა მოგივიდათ ხელზე?

— სისხლის აღება უნდოდათ თითიდან.

— ხელი რად გაქვთ თაბაშირში?

— არ ვაძლევდი.

* * *

მოხუცი ქალი ექიმთან მივიდა:

— ექიმო, ფეხის თითებს შუა მეფხანება.

— რომელ თითებს შორის?

— ცერებს შორის.

* * *

— ექიმო, გამდიდრების მანიით ვარ შეპყრობილი, — ეუბნება პაციენტი ფსიქიატრს.

— შენ რა იცი გამდიდრების შესახებ, შე კაცუნა, შენა!

მათქმევინეთ!

# არიქა, დევიზებს გვპარავენ!

**რა მშვენიერი დევიზ-ლოზუნგები ვიცით! რად ღირს თუნდაც ნაციონალების წინასაარჩევნო ფაცი-ფუცი; „საქმე — ლაპარაკის ნაცვლად“. სხვა სიტყვები: ცოტა ლაპარაკი, საქმე — ბევრი.**



დევიზი იმდენად მოხიბვლელია, რომ რუსეთის ახალმა პრეზიდენტმაც კი აიტაცა: დადო თუ არა 33-სიტყვიანი ფიცი (ცოტა ლაპარაკი!ძ და ხეირიანად არც კი დაშლილიყვნენ ამ გრანდიოზული შოუს მონაწილენი, რომ უკვე ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტებს (საქმე — ბევრი!ძ მოაწერა ხელი. პირველივე ბეჭედდასმული სახელმწიფო დოკუმენტი ასეთია: „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების შესახებ“: ანუ, უახლოეს მომავალში რუსეთში ომის ყველა მონაწილეს თავზე ჭერი ეხურება.

გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა. განა ჩვენც იმ დიდი ომის მონაწილენი არა ვართ?! ბინებით დაკმაყოფილებას ვინ ჩივის — ჯერ იყო და, მეორე „სორტის“ ადამიანებად გამოგვაცხადეს, რაღაც სასაცილო შეღავათებს გვაძლევდნენ, ისიც წაგვართვეს, ახლა ისევ ვითომ გვიბრუნებენ — ჩვენი მისავათებული ხმები სჭირდებათ არჩევნებზე — ემანდ, არჩევნებამდე არ დაიხოცონო.

ვაი, ბალღების სათამაშოდ ქცეულო ჩვენო ქვეყანავ და ჩვენო საბრალო ვეტერანებო!

**გურამ პავლიაშვილი,**
ბოდბისხევიდან

უკაბელო ტელეფონი

# სიახლე დედოფლისწყაროში



**კახეთის ზონის რაიონებში, მათ შორის დედოფლისწყაროს რაიონში, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი CDMA ტექნოლოგიის უკაბელო ტელეფონი. როგორც საქართველოს „სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ კახეთის რეგიონული ფილიალის დედოფლისწყაროს განყოფილების უფროსმა ავთანდილ მჭედლიშვილმა გვითხრა,** დღეისათვის ამ მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ ქალაქ დედოფლისწყაროს, სოფლების: ჯაფარიძის, წითელწყაროს, ლენინოვკის, თავწყაროს და ნაწილობრივ გამარჯვების მცხოვრებლებს, ახლო მომავალში ანძა დამონტაჟდება სოფელ არხილოსკალოში და ქედების ზონის მკვიდრებიც ისარგებლებენ CDMA-ტელეფონით.

**ნანა ჭიჭინაძე,**
„სრ.“ საკ. კორ.

იყიდება!

5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ფასი შეთანხმებით.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.